

ქვეყნის

№8(20) ✦ აგვისტო
1999 წელი
ფასი 50 თეთრი

საქართველო
ბიზნიროთეკა
02-99-000000



„ნიკოფსიიდან დარუბანდისა ვლუდაედუ“

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის
დიდგორში მაშინ დანთებულ სანთლებს
არ ჩაქრობიათ ჯერ კდეკ ალი.
დიდგორის ოძმა მაშინ პყთ ნათელ,
როდია მთავარ
სიმრავლე ჯარის...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის.

ნმა დიდგორისა -
დედების ლოცვათ
ნმა დიდგორისა -
მაძების რისხვათ
გვინძობდა მებრძოლს,
გლენკაცს თუ მგოსანს:
- სამშობლო ვინსნათ!
რუნს თუ ბასიანს,
მარტყეთეს, მარაბდას,

გეკვზა დავითის აზრდილი დიდი,
ის გაძნეკება და გვიფარავა
და დავითტერულს თამაძდ ვკვდილით.
- დრო გვლის
ჩვენს მთებს
დიდგორის კალთებს
მთვარედ დამნათის დავითის ფარი,
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის!

**საქონდიდეელი
ილიცებუ**



2 ისტორია

**იუბილარი
გაფთხუბნიდან**



7 იუბილე

**გვფთხუბნიდეელი
მომღერალი**



8 ხელმწიფე

**„იყრფესი“
საქონდიდეელის
ქარტული**



11 სპორტი

ქართული საზოგადოება

მიმდევრული მემკვიდრეობა ერგო დავით IV (1089-1125) განაზრგებული ქვეყანა და დემორალიზებული ჯარი. საქართველოს მეფის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოზე ფაქტობრივად არც კი ვრცელდებოდა. დასუსტებული იყვნენ საქართველოს მფობელი ქვეყნებიც, მათგან დახმარების მიღების იმედი დავითს არ უნდა ჰქონოდა. მხელი წარმოსადგენია უარესი მდგომარეობა: სამეფო თითქმის არ არსებობდა, გაუქმდას გადაჩენილი, დაშინებული მოსახლეობა მიეხება და მიუვალ ადგილებში იყო გახიზნული. მეფემ იმით დაიწყო, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ფაქტობრივად მოსახლეობა შეკრება, ძველ ნაფურცელ დააბრუნა, შექმნა მცირერიცხოვანი კარგად გაწვრთნილი აზნაურთა რაზმები, რომლებიც ქართლში მიმოფანტულ თურქებს მოულოდნელი თავდასხმებით დიდ ზიანს აყენებდნენ. ამ პატარ-პატარა „გამარჯვებებს“ დიდი მორალური დატვირთვა გააჩნდა: თანდათან ქრებოდა შიში თურქთა უღვეველობის შესახებ.

დავით IV კარგად გრძნობდა, რომ თურქ-სელჩუკების მოგერიება და განდევნა იოლი საქმე არ იყო და ერის მთელი პოტენციური შესაძლებლობების მობილიზებას მოითხოვდა. მეფე ძლიერი მხედრობისა და ერთგული ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვერ გადაწყვეტდა ქვეყნის წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემებს. ერთგული ხალხის ფასი დავითზე უკეთ არავინ უწყობდა. ამის დასტურია, თუ როგორ იგლოვებდა მან თავისი უერთგულები მეგობარი და აღმზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი პირადი მაგალითით უჩვენა ერს, რომ გიორგი ჭყონდიდელი არ იყო რიგითი პიროვნება, რომ საქართველომ დაკარგა ღირსეული მამულიშვილი.

ქვეყნის გარდაქმნისა და აღზევებისათვის დავით IV და მის ერთგულთა დასს, სრული ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ იმაზე, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში. ამიტომ დასაქმდა მეფემ მთელ საქართველოში ერთგული ადამიანები და მათ უზუსტეს ცნობებს იღებდა. ე.წ. „მსტოვართა“ მეშვეობით. მათი საქმიანობის წყალობით შეწყდა ინფორმაციის გაფორმება ქვეყნიდან, ხოლო მეფე ფლობდა სრულ ინფორმაციას მოსახლეობის

ხელმწიფოებში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მტკიცე ხელით დატრუნა მეფემ მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგობა. მოწესრიგდა საეკლესიო საქმეები, გაატარა არა ერთი მმართველობითი რეფორმა. ამის შემდეგ დავითი ქვეყნის გაერთიანებას შეუდგა. მან კახეთით დაიწყო. 1105 წელს ერწუნთან გამართულ ბრძოლაში თურქები სასტიკად დამარცხდნენ. 1110-1118 წლებში ქვემო ქართლის ყველა მნიშვნელოვანი ციხე განთავსდა ფელეგული იქნა, მიმდევარტყმები იგემეს თურქებმა ჰერეთ-ალბანეთის მიმართულებითაც.

დავით აღმაშენებელს (ასე უწოდა მადლიერმა ერმა დავით IV-ს) გაცნობიერებული ჰქონდა ისიც, რომ თურქ-სელჩუკების მიზანი, საქართველოში დამკვიდრება იყო, რადგან ისინი ყველგან დაემკვიდრნენ, სადაც სილიყ ადგილობრივ მოსახლეობას, მან ისიც უწყობდა, რომ საქართველოს, მოქმედების გარდა ვერაფერი იხსნიდა. უნდა ამოქმედებულიყო გლეხი, აზნაური, დიდგვაროვანი, კლესია.

დავით მეფის სიფიხილე, ყველაფრის გათვლა-განგარიშება, ჯარის გამუდმებული წვრთნა, ეკლესიისა და ერის ზნეობრივი გაჯანსაღების ღონისძიებანი — უმთავრეს მიზანს ქვეყნის სასიცოცხლო ძალების დარაზმებას და მტრის განადგურებას ემსახურებოდა.

დავით IV საერთაშორისო ვითარების ანალიზის უნარი იყო გამოიჩინა. მან ზუსტად განსაზღვრა, როდის უნდა შეეწყვიტა თურქთათვის ხარკის მიცემა, იცოდა მუსლიმანური სამყაროს ძალთა განლაგება, გათვლილი ჰქონდა დარტყმის მიმართულება. საქართველოს მეფის მიერ გადახდილი მცირე თუ დიდი მასშტაბის ბრძოლების შედეგად მომწიფდა დიდგვარის ბრძოლა. მუსლიმანურმა სამყარომ სწორედ საქართველოში დაინახა დიდი საშიშროება და მის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოხვედნის აუცილებლობა.

თურქებმა დროებით გადადგეს ჯვაროსნებთან ომი და კოალიციური ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ. 1121 წლის აგვისტოს დასაწყისში მტრის ძირითადმა ძალებმა მანგლის-დიდგორის მიდამოები დაიკავე. მათი რიცხვი 300000

აჭარბებდა. დავით IV ნინოსის ხეობით დაიწყო ღიადგორს. მისი ჯარის აბოლოტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ ქართველ კაცს მართებდა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ეტივრთა მთავარი ტვირთი. მხოლოდ მას შეეძლო და მოეთხოვებოდა მაქსიმალური ერთგულება, რაც ასე პატივით ესაჭიროებოდა წინამდებარე განსაცდელს. 12 აგვისტოს გაიმართა შუა საუკუნეების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, რომელიც თურქთა სრული განადგურებით დასრულდა. მათი სარდალი „სარწმუნოების ვარსკვლავი“ („ნაჯმ ად დინ“) წოდებული ილ-ღაზი თვითონაც მიმედ დაიჭრა თავში და ამ ჭრილობისაგან მალე კიდეც გარდაიცვალა. ასე დაასრულა სიცოცხლე ჯვაროსანთა ძლიერი არმიების დამარცხებელმა, მუსლიმანური სამყაროს იმედმა. კოალიციური არმიის დამარცხებით დაიმარხა საქართველოს დამორჩილების იმედი. მთელი მუსლიმანური სამყაროს პოტენცია, რომელიც ამ კოალიციაში იყო განთავსებული, დიდგორის ველზე განადგურდა.

ქართველმა მემკვიდრემ დიდგორთან გამარჯვებას „ძღვეაი საკვირველი“ უწოდა.

ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თბილისისაკენ გზა ხსნილი იყო. თბილისის აღება დიდი წინააღმდეგობის გადალახვით მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი მთლიანად ქართული ქრისტიანული მოსახლეობით იყო გარშემორტყმული და მასშიც არამცირდენიც იყვნენ ქართველები, სამხედრო გარნიზონმა და მამამდიანურმა მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს დავითის ლაშქარს.

თურქ დამპყრობთა ხელთ მყოფი თბილისი „მეორესა წელსა (1122) აიღო მეფემან“.

მეფის ბრძანებით ქალაქში შეწყდა ხოცვა-ჟლეტა და წესრიგი დამყარდა. დავით მეფემ საქართველოს სამეფო დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისს გადაიტანა და „დაუქვიდრა შეიქმნა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თავისად საუკუნოდ“.

ამაია დღემდეა, ისტორიის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი.

ქართული ირმაცობა

„ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვლავყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის მისი პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულში სიღრმეში ატარებს და შეჰპარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოს“ — ი. ჯავახიშვილი.

დავით აღმაშენებელს საერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, როგორც საისტორიო წყაროებიდან სჩანს, გარს ეხვია სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი დასი: არსენი ბერი, ფიქრობენ იგივე არსენ ივალთოელი; იოანე ტარაგისი ძე, ფილოსოფოსი; იოანე პეტრიწი, ფილოსოფოსი; დემეტრე, მეფის ძე, და სხვაც არაერთი! მაგრამ ამათში განსაკუთრებით აუტორიტეტული პიროვნება იყოფილა სამეფოს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გიორგი.

აღბათ, მისი მოღვაწეობის მასშტაბებისა და მრავალმხრიობის გამოცა, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესზე მეტი ცნობება შემორჩენილი.

გიორგი საქართველოში პირველი იყო, ვინც ერთდროულად მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა მიიღო. მწიგნობართუხუცესები კარგად ჩანს XI-საუკუნიდანვე, სასულიერო პირები — ბერები იყვნენ და სამეფო კანცელარია მეთაურობდნენ. ამავე დროს ყველა სახის სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს უერთდებოდნენ.

XII-საუკუნის პირველსავე წლებში დავით აღმაშენებელმა მწიგნობართუხუცესად თავისი უახლოესი პიროვნება და თანამაზნავე გიორგი მონაზონი აღაზრდა და იმდროულად ჭყონდიდელად, ჭყონდიდის საყდრის მღვდელმთავრად დაასმენინა.

გიორგის იმ თავითვე დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა საქართველოს



არა მარტო საერო, არამედ სასულიერო ცხოვრებაშიც, ამიტომაც იგი მეფის საყრდენი იყო ორივეგან. ეს ცხოვრებაშიც დადასტურა.

იმ დროს მეფის ხელისუფლება ვერ

კიდევ ნაკლებად ვრცელდებოდა ამიერსაქართველოში, მცხეთის კათოლიკოსიც გარე მხარედ რჩებოდა. ამიტომ დავითისათვის უფრო უკეთესი იქნებოდა საეკლესიო სფეროში მოკავშირედ რომელიმე ლიხთიქითა მღვდელმთავარი ჰყოლოდა და ამიტომაც ასე გამოიყვითა მეფის კარზე ჭყონდიდლის ფიგურა და მწიგნობართუხუცესობის შეთავსებით სასულიერო სფეროში კათოლიკოსზე ნაკლები კომპეტენცია არ იყო.

დავით აღმაშენებელმა ერთ-ერთმა პირველმა გადაწყვიტა საქართველოში შუა საუკუნეების პოლიტიკის ისეთი პრობლემა, როგორცაა სახელმწიფოს ერთიანობა ეკლესიასთან პირველის სასარგებლოდ. რუსი-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ (1103) გიორგი ჭყონდიდელის როლი ერთობ გამოიყვითა და ცხადია მეფე საეკლესიო საქმეს მასთან ერთად წარმართავდა. გიორგი ჭყონდიდელი ყველგან მსგავსი იყო მეფისა, საქმე ეხებოდა სამინაო და საგარეო პოლიტიკას, საეკლესიო საკითხებს, ომსა და მშვიდობიან აღმშენებლობას. დავითის შემდეგ ყველა მას ემორჩილებოდა და მისგან იღებდა მოქმედების დასტურს.

1118 წელს გიორგი ჭყონდიდელი გარდაიცვალა „იგლოვო ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

გიორგის ცხედარი დიდი პატივით წამოუღიათ და დაუკრძალავთ „მონასტერსა ახალსა“.

გიორგი ჭყონდიდელისა და მისი აღზრდილის საიცნებო-ერთიანი და განუყოფელი საქართველო იყო.

ასე დარჩა იგი ქართულ საისტორიო მემკვიდრეობაში.

ვახუშტი

დიდი ქართველი გეოგრაფი, „ისტორიკოსი და კარტოგრაფი“.

ვახუშტი ბატონიშვილი დაიბადა 1696 წელს თბილისში. იგი ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის შვილია. როგორც ფრანგი მოგზაური შარც პეისონელი (1700-1757) წერს, დედამისი ყმა გლეხის ქალი ყოფილა, მაგრამ მას მზრუნველობას არ აულებდნენ ძმები იესე და გიორგი გარსეანიშვილები, აგრეთვე თბილისში მცხოვრები ფრანგი კათოლიკე მისიონერები, რომლებიც მურვეობდნენ კიდეც მის აღზრდა-განათლებას. ვახუშტი ბატონიშვილმა ქართლის გარდა იცოდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული, თურქული, რუსული და სომხური ენები. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ორჯერ მონაწილეობდა ქანის ერისთავთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. 1722 წელს ვახტანგ მეექვსის განჯაში ყოფნის დროს, ქართლის სამეფოს გამგებლად იყო დატოვებული. როცა ვახტანგ მეფე რუსეთში გადაიხვეწა 1724 წელს, ბატონიშვილი ვახუშტი მოსკოვში გაჰყვა და სახელმწიფო ჯამაგირი დაენიშნა. აქვე, 1745 წელს, დაამთავრა თავისი დიდებული „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან („დასაბამიდან“, „შექმნიდან“) მე-18 საუკუნის პირველ ნახევრამდე, რომელშიც საქართველოს ისტორიის პრობლემებს უკავშირებს მსოფლიო ისტორიას. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური ერთიანობის იდეას. საქართველოს დამოუკიდებლობის მისამართად მას სამართლიანად მიანიჭა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მოვლენები. ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიულ ამბებს მატიანიკური სტილით გადმოგვცემს: ძირითადად აღწერს პოლიტიკურ მოვლენებს, ცდილობს ეს მოვლენები ახსნას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გზით. პოლიტიკური ისტორიისათვის იგი იყენებს ისტორიულ ქრონოლოგიას, რაც მან მეცნიერებად აქცია. ვახუშტი ბატონიშვილი ცდილობს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას. მისი აზრით, საქართველოს ისტორია ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ძველი ისტორია — 1469 წლამდე. 2. ისტორია „შემდგომად განყოფისა“, ესე იგი სამეფოს დაშლიდან 1469 წლიდან ვახუშტი ბატონიშვილის დრომდე. პირველი პერიოდის

ბავშვაცობი

წყარო „ქართლის ცხოვრება“, მეორე ნაწილი კი ძირითადად ორიგინალურია. მისი ნაშრომი გაცილებით უშუალოდ ქართული ენის ზოგიერთი აუქმალა რქმენა ერთობის, და ერთგულება შემდგომ მმართველებს. სამი მხათობი ანათობს იყრის, სამი მიწამე გარდასულ დონისა, ვახტანგ, დავითის, თამარის სახე, სამი ლეკელა ქართული ცისა.

თამარაპა — თამარან ლაღაშვილი

წყარო „ქართლის ცხოვრება“, მეორე ნაწილი კი ძირითადად ორიგინალურია. მისი ნაშრომი გაცილებით უშუალოდ ქართული ენის ზოგიერთი აუქმალა რქმენა ერთობის, და ერთგულება შემდგომ მმართველებს. სამი მხათობი ანათობს იყრის, სამი მიწამე გარდასულ დონისა, ვახტანგ, დავითის, თამარის სახე, სამი ლეკელა ქართული ცისა.

წყარო „ქართლის ცხოვრება“, მეორე ნაწილი კი ძირითადად ორიგინალურია. მისი ნაშრომი გაცილებით უშუალოდ ქართული ენის ზოგიერთი აუქმალა რქმენა ერთობის, და ერთგულება შემდგომ მმართველებს. სამი მხათობი ანათობს იყრის, სამი მიწამე გარდასულ დონისა, ვახტანგ, დავითის, თამარის სახე, სამი ლეკელა ქართული ცისა.



თანამედროვე ათონელი ბერების დარიგებანი

პროლოგი

„ნუ იტყვი, რომ შეუძლებელია განცდა ღვთიური სულისა, ნუ იტყვი, რომ უიმისოდ შესაძლებელია ხსნა, ნუ იტყვი, რომ ვინმე ვზიარა მას და ამის შესახებ არ იცოდა. ნუ იტყვი, რომ ღმერთი უზილავია ადამიანისათვის, ხედავს ღვთიურ ნათელს, ან ეს შეუძლებელია დღევანდელ დღეს. ეს შეუძლებელი არასოდეს არ არის, მეგობრებო, ძალიანაც შესაძლებელია მსურველთათვის“
სიმონი - ახალი ღვთისმეტყველი, პიმი 27.

1994 წლის ზამთარში, შობის წინა დღეს, აზრი დამებადა XX საუკუნის ზოგიერთი ბერის დარიგებათა ანთოლოგია შემდგენა, რათა

ხელთ ჰქონოდა იმ ქრისტიანს, ვინც სქელტანაინი წიგნების წასაკითხად ვერ იცლის. იღვის განხორციელებას ისე შეუდექი, რომ არავისთვის მიტყვამს. მომდევნო წლის ზაფხულს, როცა, ჩვეულებისამებრ, წმინდა მთაზე ავედი, ნაცნობმა ბერებმა მკითხეს: „ბერ პაისზე წიგნის შემდეგ, ახალს რას წერო?“. იძულებული ვაგხდი ჩემი იდეა მათთვის გამეცნო და, ბუნებრივია, რჩევაც მივიღე. მითხრეს, ასეთი წიგნი საინტერესო იქნება, ვინაიდან თანამედროვე ბერების გამოცდილებით ნაკარნახევი სიტყვა მეტად ამაღლებულია და სულიერი შთაბეჭებით ძალა გააჩნიაო. განვაგრძე მუშაობა, მაგრამ არ მასვენებდა ერთი კითხვა: ვინ არის დღეს ბერი? ვიფი-

მოცდილება შეიძინეს, რასაც მორჩილებით უზიარებდნენ სულიერ ძმებს. ბერები სულიერად ეხმარებოდნენ იმათ, ვისაც სიკეთე სწყუროდა. ჭეშმარიტ ღვთისმოსაობას იჩენდნენ: ნუგეშს სცემდნენ სასოწარკვეთილთ, ღვთის ნებას ადასრულებდნენ იმ ძნელ დროში, როცა ხალხს გონება არეული ჰქონდა. ერთი სიტყვით, ბერი საქმის კაცი იყო და არა თეორიისა. ამიტომაც მათი სულიერება ღრმა და უტყუარია“.

ბერები, რომელთა შესახებ მოგიტონრობთ, მონასტრულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ზოგიერთმა მთელი სიცოცხლე მონასტერში გაატარა, ზოგიერთმა დატოვა მონასტერი და თავის გზას გააკვა, ზოგიერთმა კი მონასტერში

მოცდილება შეიძინეს, რასაც მორჩილებით უზიარებდნენ სულიერ ძმებს. ბერები სულიერად ეხმარებოდნენ იმათ, ვისაც სიკეთე სწყუროდა. ჭეშმარიტ ღვთისმოსაობას იჩენდნენ: ნუგეშს სცემდნენ სასოწარკვეთილთ, ღვთის ნებას ადასრულებდნენ იმ ძნელ დროში, როცა ხალხს გონება არეული ჰქონდა. ერთი სიტყვით, ბერი საქმის კაცი იყო და არა თეორიისა. ამიტომაც მათი სულიერება ღრმა და უტყუარია“.

ბერები, რომელთა შესახებ მოგიტონრობთ, მონასტრულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ზოგიერთმა მთელი სიცოცხლე მონასტერში გაატარა, ზოგიერთმა დატოვა მონასტერი და თავის გზას გააკვა, ზოგიერთმა კი მონასტერში

დალია სული. მაგრამ არც ერთი ლატია თავის დანიშნულებით არ ყველა ბერს თავისი განსაკუთრებული მადლი ჰქონდა, კეთილმოქმედების თავისებური ნიჭი.

ბერების ბრძნულ შრომებს იმიტომაც მოუყვარე თავი, თანამედროვე ქრისტიანს პირადი პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ და დაეკმაყოფილოთ, ნაწილობრივ მაინც, მისი სულიერი ძიებანი.

კიდევ ორიოდე სიტყვა დარიგებათა მკითხველისათვის. სჯობს ყოველ ცალკეულ აფორიზმთან შეყოვნდეთ, ჩაუღრმავდეთ მას, ეძებოთ მასში საკუთარი თავი და მოეხადო, და განიმტკიცოთ გონება სულიერი ცხოვრების ძირითად საწყისებში. მაშინ გათბება გული და წინასწარ იგრძნობს, შეძლებისდაგვარად, სამოთხის ნეტარებას.

მღვდელი
დიონისე ტაცინი

1. ბერი პორფირი ამბობდა: „სიცოცხლე ქრისტეს გარეშე, სიცოცხლე კი არა, სიკვდილია. თუ შენს ყოველ საქმესა და აზრში ქრისტეს არ ხედავ, მაშინ ქრისტეს გარეშე ხარ“.

2. იგივე ბერმა დასძინა: „ქრისტე ჩვენი მეგობარია, ჩვენი ძმაა, ქრისტე სიკეთე და მშვენიერებაა. ქრისტეს არ გააჩნია ჭმუნვა, არც მელანქოლია, არც შინაგანი ცვალებადობა. ადამიანს კი აწვალავს სხვადასხვა აზრი და გულისთქმა, რაც მას სასოწარკვეთილებამ აგდებს. ქრისტე სიხარულია, სიცოცხლეა, სინათლეა, ჭეშმარიტი სინათლე, რომელიც ახარებს ადამიანის გულს, ფრთებს ასხამს, ანიჭებს უნარს, რათა დაინახოს ყველა და ყველაფერი, თანაუგრძნობდეს ყველას და სურდეს, ყველა მასთან იყოს, მის გვერდით“.

3. იმათ შესახებ, ვინც საქმეში გაერთობა და ქრისტეს ივიწყებს, ბერმა ანფილოხმა თქვა: „ხშირად მოდის შენთან ქრისტე და გიკაკუნებს. შენ მას შენი სულის დარბაზში დასვამ და ისე გაერთობი საქმით, რომ გაივიწყლება დიდი სტუმარი. ის ელოდება შენს გამოჩენას. ელოდება, მა-

ქრისტე ჩვენთვის ყველაფერია

გრამ, როცა მეტისმეტად იგვიანებ, დგება და მიდის. სხვა დროს კი, იმდენად მოუცლელი ხარ, ფანჯრიდან ელაპარაკები მას, იმის დროც არ გაქვს, კარი გაუღო“.

4. იგივე ბერი ამბობდა: „ადამიანს, ვისაც ქრისტე არ ჰყავს, ყველაფერი ბნელი და ძნელი ეჩვენება“. სხვა დროს თქვა: „როცა გულში ქრისტე არ არის, მაშინ იქ ადგილია ფულისთვის, ქონებისთვის, ადამიანებისთვის“.

5. უფლის განგებულებათა შესახებ, რომელიც დაფარულია ადამიანისათვის, ბერი პორფირი ამბობდა: „ადამიანს შეუძლია ღვთის გებების შემეცნება ისწავლოს და ნათლად დაინახოს ქაოსი და იყვიროს: „ხალხო, ქაოსში ვიჩეხებით, შეგვეშალა, დაბრუნდით, გზას ავცდით! და კვლავ დაადგებიან უფლის გზას და კვლავ გაიბრწყინებს ჩვენი მართლმადიდებლური რწმენა. ღმერთი მოქმედებს ფარულად, არ სურს, დაირგუნოს ადამიანის თავისუფლება. ღმერთი



ისეთ მდგომარეობას ქმნის, რომ ადამიანი ნელ-ნელა ეგება გონს და ადგება იმ გზას, რასაც უნდა დადგომოდ“.

6. ბერი ეპიფანე ამბობდა: „ღმერთის მათემატიკას არაფერი აქვს საერთო ადამიანის მათემატიკასთან. ჩვენი ორჯერ ორი ოთხია, ღმერთი-

სთვის კი შეიძლება ხუთი იყოს, ან ხუთმეტი, ან მეტიც“.

7. ბერი ანთიმოზი ამბობდა: „ღვთის უნებურად ქვა არ დაიძვრის ადგილიდან, ფოთოლი არ ჩამოვარდება ხიდან“.

8. ბერი ევსევი თავის სულიერ შეილს სწერდა: „როცა ღმერთი ადამიანს სტოვებს, მაშინ ადამიანი არა თუ მრავალ ცოდვასა და უბედურებას სჩადის, არამედ რწმენასაც ჰკარავს. შენ ღვთის ქმნილება ხარ და ღვთის რწმენით და მისი ნების მორჩილებით გარდაიქმნები, და მისი შეილი ხდები. შენზე უფალი სიყვარულით ფიქრობს და ზრუნავს, რათა სრულყოფილი გახდე“.

9. იმ საშუალებათა შესახებ, რასაც უფალი ადამიანის გადასარჩენად იყენებს, წმ. ანთიმოზი ამბობდა: „სახიერი ღმერთი ადამიანის გონებას განუწყვეტლივ აწვდის კეთილ სურვილებს, ხან გონებას გაუნათებს, ხან რაიმე ნიშნს აძლევს. მისი კეთილი სახიერება ყოველი საშუალე-

ბით ცდილობს იხსნას ადამიანი, მიიყვანოს თავისთან და უშველოს“. სხვა დროს დაუმატა: „აი, უფალი როგორ შეულის ადამიანს: „ზოგჯერ მოძღვარს მოუკლენს, რომელსაც დარიგების ნიჭი აქვს. ხან ანგელოზის მეშვეობით გაანათლებს, ხან კეთილ აზრს ჩაუნერგავს, ხან სასოებით გამსჭვალავს“.

10. ბერი იერონიმი ამბობდა: „დაუფიქრდით, როგორია თქვენი ყოველი დღე. თქვენი მერმისი მიანდეთ უფალს, უფალი გიშველით. რასაც უფალი მოისურვებს, ის მოხდება. ნუ ფიქრობთ მომავალზე, ნუ დაამძიმებთ გონებას მასზე ფიქრით. უფალი გიშველით“.

11. ბერმა ანთიმოზმა უფლის სიყვარული ადამიანისადმი ასე განმარტა: „ღმერთი არ ანსხვავებს მართალსა და ცოდვილს, ბოროტს არ უპირისპირებს კეთილს. ფუტკარს, რომელიც ნეხვში შაქარს ან რაიმე ტკბილს წააწყდება, სიბინძურე არ აშინებს. და ის მოფრინდება შაქრის ან სიტკბოს წასაღებად, რათა თავი დაამზადოს. ასეა ღმერთიც, ის არ ხედავს, სად იმყოფება ადამიანი, ცოდვასა თუ სათნოებაში, სიკეთესა თუ ბოროტებაში. ღმერთი ხედავს მხოლოდ იმ წუთს, რომელიც ადამიანს აახლოებს მასთან“.

ღვთისმშობლის ეს არატრადიციული ხატი ირაკლი ბაგრატიონმა თავისი გარდაცვალების წინ გამოუგზავნა ქ-ნ მანანა ხომერკის ესპანეთიდან. იგი ეკუთვნის იაპონელ მხატვარს მოჩიზუკის, რომელსაც ქრი-

იაპონელი კახიელის ღვთისმშობელი



ქართველ მეფეთა შთამომავალი ეგულებოდა, ირაკლი ბაგრატიონთან ჩავიდა ესპანეთში, ერთგულება გამოუცხადა მას და მონათვლა სთხოვა. ბატონმა ირაკლიმ სიამოვნებით მიიღო ეს თხოვნა და ნათლობას მას ტარიელი დაარქვა. მას შემდეგ ტარიელი ესპანეთში ცხოვრობს. აქვე დახატა ეს ხატი (1976 წ.), რომელშიც ღვთისმშობლის შარავანდედი მზეს მოგვაგონებს. ირაკლი ბაგრატიონისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ამჯერად მოკლედ გთავაზობთ მისი ბიოგრაფიის ერთ პატარა ფურცელს.



1918 წელს პიატიგორსკში სიცოცხლეს გამოასალმეს ირაკლის პაპა გენერალ-მაიორი ალექსანდრე ბაგრატიონი. მისი ცხედარი ოჯახმა თბილისში გადმოასვენა და კალოუზნის ეკლესიაში დაკრძალა, ხოლო ეკლესიის დანგრევის შემდეგ ვერის სასაფლაოზე გადაასვენა. 1921

წმ. ანთიმოზი ამბობდა: „ღვთის უნებურად ქვა არ დაიძვრის ადგილიდან, ფოთოლი არ ჩამოვარდება ხიდან“.

8. ბერი ევსევი თავის სულიერ შეილს სწერდა: „როცა ღმერთი ადამიანს სტოვებს, მაშინ ადამიანი არა თუ მრავალ ცოდვასა და უბედურებას სჩადის, არამედ რწმენასაც ჰკარავს. შენ ღვთის ქმნილება ხარ და ღვთის რწმენით და მისი ნების მორჩილებით გარდაიქმნები, და მისი შეილი ხდები. შენზე უფალი სიყვარულით ფიქრობს და ზრუნავს, რათა სრულყოფილი გახდე“.

9. იმ საშუალებათა შესახებ, რასაც უფალი ადამიანის გადასარჩენად იყენებს, წმ. ანთიმოზი ამბობდა: „სახიერი ღმერთი ადამიანის გონებას განუწყვეტლივ აწვდის კეთილ სურვილებს, ხან გონებას გაუნათებს, ხან რაიმე ნიშნს აძლევს. მისი კეთილი სახიერება ყოველი საშუალე-

შემდეგ დებისთვის. მონატრებული მიწა ღედაზე ადრე მას დაეყარა გულზე. ქ-ნმა მარიამმა, რომელიც თბი-



ლისში ცხოვრობს, გადაწყვიტა მშობლის პანაშვიდი სიონში გადაეხადა. სრულიად საქართველოს მომავალმა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რომლის ინტრონიზაცია რამდენიმე დღეში უნდა შემდგარიყო, გულისყურით მოისმინა ქ-ნი მარიამის თხოვნა და ბრძანა, რომ ქართული ეკლესია თვითონ გადაუხდიდა პანაშვიდს ირაკლი ბაგრატიონს. ქართულმა ეკლესიამ დიდი პატივი მიაგო ირაკლი ბაგრატიონის ხსოვნას 1977 წელს.

მასალა მოამზადა
ნიკო შაპურიშვილმა.

ბავშვობის კუნძული

გავრცელება

...ბავშვობის პირველი განცდა, მასხარის - შიში იყო. ეს გრძობა ჩემში ალბათ მხროვნების ჩასახვასთან ერთად გაჩნდა (ან იქნებ მხროვნებას წინ უსწრებდა?). რანაირი შიში არ მასხარის: სიბნელის შიში, სიმატრის შიში, უცნობი საგნების და უცხო ადამიანების შიში... მაგონდება ჩვენი სახლი ლენინის ქუჩაზე. ორი ოთახი მეორე სართულზე და მთი შუა - მშობლებთან სასიარო დერეფანი. ამ დერეფანში დღისითაც ბნელოდა. აქვე ქუჩიდან შემოსასვლელი კარი იყო, რომელსაც „ინგლისური“ კლიტითა და რუინის ფოსოში გასაყრილი ჯაჭვით კეტავდნენ. ქვემოთ, სადარბაზო არ იცებოდა.

ჩვენ, პატარებს, მე და ჩემს ძმას, ქუჩისპირა ოთახში გავძინებდნენ. უფროსები გვიანობამდე ისხდნენ სასადილო ოთახში და საუბრობდნენ. მათი ხმა არ გვემოდა, ქუჩაც წყარო იყო, ამიტომ ჩვენს ოთახში შეხიზდებოდა სიჩუმე ისადგურებდა... დედამ ჩემი ფეხსაცმელს გახსნიდა, შემასუსებდა ლოგინზე, მერე მთლად გამატრეტებდა, კოჭებამდე გრძელ პერანგს გადამაკეცივდა (ცივი იყო გამამბრული პერანგი) და ჩავგორდებოდი ლოგინში (ლოგინიც ცივი იყო), კარგად მასხარის საბანი - ფაფუკი ღრუბელი, რომელსაც უშბეკური ხალათით წითელი და ყვითელი ზოლები დაყვებოდა. ჩაწვევრილი ლოგინში, დაგზუჭავდი თვალს, საბანსაც ყურებამდე წავიფარებდი და დედას ვთხოვდი, არ წასულიყო, ცოტა ხანს დარჩენილიყო. დედაჩემიც საწოლზე ჩამოვდებოდა და სანამ ჩავთვლებდი, თავზე ხელს მისვამდა, თან თავის მოგონილ ზღაპარს მიაბობდა პატარა „მატრაცეცხვზე“ და მის ოინებზე. ზღაპარს არც თავი ჰქონდა, არც ბოლო და მისი გმირი, ცილი და გაუგონარი „მატრაცეცხვი“ რილატ საეჭვოდ გვევად მე და ჩემს ძმას...

ჩამეძინებოდა და ვერ შევამჩნევდი, როგორ ადგებოდა დედა და ოთახიდან ფეხსაყრებით გავიდოდა. მაგრამ გავიდოდა თუ არა, იმწამსვე თვალს დაავაჭყუტდი, საბანს თავზე წავიფარებდი, მოვიუწებოდი, მუშტისოდენა გავხდებოდი და ვიწქი ასე, გაუნძრევლად, სუნთქვაგაუმძღვლო და შიშისგან სული მელოდა... „ქამ-ქუშ... ქამ-ქუშ...“ - რილატ უცნაური ხმაური ჩამემოდა ყურის და ვეუბრითოდა ჯარისკაცები მეზადებოდნენ, მძიმე ჩემებით, მწყობრად რომ დაბიჯებდნენ კარს იქით, ბნელ დერეფანში, ყრუ კედლებით რომ აღმართულიყო ჩემსა და დედას შორის, არავითარი შერი არ ჰქონდა არც ტირილს, არც დაყვირებას, რადგან ჩემს ხმას დედაზე ადრე ის ბოროტი ძალა გაიგონებდა, დერეფანში რომ დაბოტებდა და მამინ... მამინ...

ჩემი შიში უსაფუძვლო როდი იყო... „ჯარისკაცები“ პირობითი სახელწოდება იმის, რისიც მეზინოდა. მამინ თბილისში დიდი ავსაყოლა იყო და ჩვენი მშობლები ხშირად სუფრასზე, ბავშვების გასაგონად, ათასგვარ საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ: როგორ გატყეს ქურდებმა ვილატ ნაცნობისა თუ უცნობის ბინა, როგორ გამოჭრეს ყელი სახლის პატრონს და მის ცოლ-შვილს, რომლებმაც გაიღვიძეს და უცხო ადამიანების დანახვზე ყვირილი მორთეს...

ასეთი ამბები გასურებული შანთივით მესობოდა ტვინში, აცხოვლებდა ჩემს ფანტაზიას და, წარმოდგინეთ, ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, უფროსების ზოგერთი მონაცული დაწერილებით მასხარის.

„პაცნებით“, ანუ უპატრონო ბავშვებით, საცხე იყო თბილისი. ჩვენი უბანში, მამინდელ „გორნცოვზე“, ეს საცოდავი, მაგრამ საშიში არსებანი ნაკლებად გვხვდებოდნენ. სამაგიეროდ, ქალაქის მთავარ ქუჩებში, „გოლოვინის“ და „მინაილოვის“ პროსპექტზე (რუსთაველის და პლენანოვის პროსპექტები) ბუხებივით ირეოდნენ ჩამოძვნილი, ფეხშიშველა, პირმოთხუანული ბავშვები და მოხარდები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას. სუსხიან დეკემბერსა თუ იანვარში ან „სუფსარქისის“ ქარ-წვიმიან დღეებში (მამინ ზამთრობით დიდი თოვლი იცოდა და საკმაოდ ყინავდა), ეს ბავშვები პირდაპირ ტროტუარზე ეყარნენ მალაზის ვიტრინებთან, იქ, სადაც მიწაში გათბობის ქსელი იყო გაყვანილი, ან სარდაფებიდან ამოშვებული საკვამლე მილები ასლო თბებოდნენ. ამბორებულნი, აქოთებულნი, ისხდნენ და იქექებოდნენ, თან გამეღულ-გამომღულს სამათხროვოდ ხელს უწვდიდნენ... მასხარის, ერთხელ მე და დედაჩემი გოლოვინის პროსპექტზე მივიდოდით. „პაცნების“ ჯგუფს ერთი ახმახი გამოეყო და დედაჩემს ფული სთხოვა. დედამ ხურდა მისცა. „პაცნას“ ეტყობა ეცოტავა, ბინძურად. შეიგინა, უბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო, გახსნა და დაბუქრა დედას: ქალაქის ფული მოიტა, თორემ ამას შეგაყრიო... კოლოფი გატენილი იყო რილატ ნაცრისფერი ფენილით. დედაჩემს ფერი წაუვიდა. სასწრაფოდ ამოიღო საფულადან, რაც მხრებდა ხელში და „პაცნას“ მიარჩა. ამის შემდეგ, ჩვენ თითქმის სირბილით გავცილდით იქაურობას. სახლში დედამ მითხრა: „ის კოლოფი ტრლებით იყო საცხეო...“ ეს ყველაფერი შუადღისას მოხდა, პროსპექტის ყველაზე ხალხმრავალ მონაკვეთზე, იქ, სადაც ქაშუეთის ეკლესიაა...

გავიდა წლები და გამოუცნობი ბავშვური შიში, დიდი შიში - ყველასი და ყველაფრისა - გაჰქრა. მაგრამ იმ შიშის გამოძახილი მაინც ისმის სტრიქონებში, სადაც დედის სახე გაცოცხლებული:

ყველაზე უფრო ძნელი და მწარე ეს არი - შინი დაკარგვის შიში... მე წამიყვანე, სიკვდილო, ბარემ,

თუ ახირდი და შენსას არ იშლი! ეს შიში ასევე ისმის სტრიქონებში, სადაც ბუნებასთან ერთიანობის, მასთან განუყოფლობის საწვებო მხრი ასეთი დეკლარაციის ფორმას ღებულობს:

თუ გინდა, ბელო, მომკლა როდისმე, -
მომკალი ღამით,
დილის ჰაერით სუნთქვა მაღირსე,
- დავევლე ნამით.
მომკალი მერე, როცა შუადღის

სარბევად მოხვალ,
და თუ შენ მამინ შიში შემატყე, -
წამებით მომკალი!

...ყოველ ზაფხულს მე და ჩემი ძმა სოფელში ვატარებდით. ჩვენი სოფელი ხაში გარეკასეთში ერთ-ერთ შეძლებულ და კულტურულ სოფელად ითვლებოდა. განთქმული იყო ხაშიური „საფერავი“, ხაშიური ხილი



ვაჟა სალუშვილი და მიხეილ ქაჩიკიძე

და ხაშიური ციება. ცნობილი იყო აგრეთვე გამოჩენილი ხაშიურების: იმედაშვილების, ბაქრაძეების, ყვარულაშვილების და სხვათა გვარები. ქვლივიძეები - მარტო ჩვენ ვიყავით. სოფელში ბებიამეც კახურ ყაიდაზე, მეტსახელად „კორომას“ ეძახდნენ. „კორომა“ რილატ ისეთს ნიშნავდა, რაც პირქუში, გაუცინარი ადამიანის სახის გამოძრეკვლავსაანა დააუგმირებული. „კორომანთ ბიჭი ხარო?“ - მითხრავდნენ ხოლმე გლეხები და მეც თავს დავუქნევდი, თუმცა ქალაქელ ბიჭს, ცოტა არ იყოს, მწყინდა ეს სახელწოდება. სამაგიეროდ, ის მსიამოვნებდა, რაც ამ კითხვას მოჰყვებოდა: გაიგონებდნენ თუ არა, რომ „კორომანთი“ ვიყავი, სოფლები მამინე მამამეც გაიხსენებდნენ, რომელმაც ახალგაზრდობაში საკუთარი სახსრებითა და მეცადინეობით ხაშიურებს გზა გაუყვანა და წყაროც გაუმართა...
ჩვენს ქოში, ლობესთან, ერთი ბებერი გულაბი იღვა. გემრიელ ნაყოფს ისხამდა. მისი გაძლიერი ტოტები ლობეს სცილდებოდა და თითქმის სანახევროდ ფარავდა გზას. მთელი უბნის ბიჭები ამ გულაბზე იყვნენ დაღესილი. და განა მარტო ბიჭები? ყველა, ვინც კი გზაზე გაივიდა, ცენოსანი იყო თუ მუხრე, ქალი თუ კაცი, თავის მოვალეობად თვლიდა ან ქვა ესროლა, ანდა სახურე შემოეწია საწყალი გულაბისთვის... გაიგონებდა თუ არა ტოტების ლაწა-ლაწის, მარჯვედ გასროლილი ქვის შლიგინს ხშირ ფოთლ-

ში, ბებიამე გამოვარდებოდა აივანზე და ქოქოლას აყრიდა არამხადას: „აი, გავხმეს ხელები! გავსკდა მიწა და ნუ გავზრდები დედაშენს, შე სასიყვდილო...“ - იწყებდებოდა „კორომა“. ლობის გადაღმა კი, შეკავებული სიცილი და ქვაფენილზე ტიტველი ტერფების ტყაპატყუპი ისმოდა: გასაქცევად გამზადებული ონაერები გამალებით იტენიდნენ უბეებს ხიდან ჩამოცვენილი გულაბებით...

იმავე ბიჭებთან, ასე რომ ამწარებდნენ ბაბოს, იორზე დავდიოდი საბანოდ, ვიპარავდი ნელ სიმინდს, „ლაგატკით“ დავვვდი ბელურებს...

ცეცხლი გაგართა და შემგრობალ კაცივით, სიბნელემ ერთბაშად უკან დაიხია!..

შემოდის მეველე და ჩოხის კალთებით ნაწვიმარ ქედების სურნელი შემოაქვს...

სილამაზის ეს მარცვლები იქ, ბავშვობის კუნძულზე ნაპოვნი და მოყვრილი.

...ბავშვობის სსოვნა - უძირო ჭასავითაა, არ ამოშრება არასოდეს წყალი მის ფსყურზე! საჭიროა მხოლოდ, რაც შეიძლება ღრმად ჩაუშვა თოქი და მოთიბნებით დაელოდო ბადის გაგვებას, მერე კი ფრთხილად ამოსწიო, რომ არც ერთი წვეთი არ დაყაროს. სსოვნა ჭასავითაა კიდევ იმიტომ, რომ ძირამდე თუ ჩახვედი, მოგონებთა სიღრმეში თუ ჩაყვინთე, იქიდან ვარსკვლავებსაც დაინახავ. არა მარტო ღამით, დღისითაც, ვარსკვლავების მიხედვით კი ბედის გამოცნობა შეიძლება, - ამტკიცებენ მოსულები, რომლებსაც, როგორც იტყვიან, ტყუილიც დაუჯერებთ!

ბავშვობის კბილი კარგა ხანია მოცვეთილი მქონდა, როცა თბილისის ქუჩებში ერთი შავებში ჩაცმული ქალი დაინახე და მისმა სახე იხეოცდაათიან წლებში დამაბრუნა.

შემოდგომა... შუახნის ქალი ბეწვში ჩამალავს დაღარულ სახეს,

გაჰყვება ქუჩას და მერე ქარი ფენთან დაუგდებს გაზეთის ნახეს,

შემოდგომა... შემოდგომა... ცნობრება - მუდამ ფეხზე დგომა!

ვინ იყო ის ქალი? ვის გლოვობდა? რატომღაც დედაჩემი გამასხენდა, რომელსაც შიშისაგან სული ელეოდა, როცა მამა შინ მოსვლას აგვიანებდა.

ამ ლექსის გმირიც იქიდან, სსოვნის ჭიდან ამოჰყვა ბადის... ბავშვობის მოგონება ყოველთვის გაცნობიერებული როდია. ჩვენი ცხოვრების როული რელიეფი ხშირად სახეს უცვლის ექის და ძნელი დაადგინო: რისი გამოძახილია ესა თუ ის ფიქრი ან განცდა. და მაინც, ასაში შესული კაცის თვალით დანახულ სილამაზეში, დაკვირვებული მითხველი ყმაწვილური გრძობის გემოვნობა მულგარებასაც ამოკითხავს: მისი თვლების ლურჯ სიმუ-

ქეში

არ ჩამქრალიყო გვარაც მწერებამ

ორი რიყის ქვა ეწყო უბეში, რომ ჩაეჭოლა ჩემი კაცობა! ...და თუმცა გრძობდა - ძალღონეს კარგავს, ქალს მაინც მზეთან ჰქონდა ცილობა, და გლევად მკერდზე მოდებულ ლაგამს

ჯიუტი ტანის ატეხილობა! მიაძრება იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ჩვენი მოქალაქეობრივი, ფილოსოფიური და პოლიტიკური მრწამსი პირდაპირი, უშუალო შედეგია ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებისა. ოჯახური აზრება, განათლება, საზოგადოებრივი ურთიერთობა და ცხოვრების სივარცე თავის დაღს ასვამენ ადამიანს, აყალიბებენ მას, როგორც პიროვნებას, მაგრამ ზნეობრივი ბუნება ადამიანისა უკვე ბავშვობაში, მის ყველაზე ადრინდელ საფეხურზე ისახება.

და როდესაც ხანშიშესული კაცი ამბობს:

სულერთია - შენი თავისთვის, თუ ვინმე სხვისთვის გილაღატნია! ამ მტკიცებაში იმ დღეთა გამოცდილებაც ურევია, როცა სიცრულა და ორპირობა, დასჯის შიშს თუ არა, სინდისის ქენჯნას მაინც იწვევდა პატარა არსებაში...

უბედურია მარტოხელა კაცი. ცუდაა, როცა არ გვევლება გვერდით ადამიანი, ვისაც შეგიძლია გაუწიარო შენი სიხარული, მწუხარება, ან თუნდაც ახალი შთაბეჭდილება. ეს ყველაში ვიცით, მაგრამ ამ განცდის ფესვები, მისი საწყისები ისე იქ უნდა ვეძებოთ, ბავშვობის კუნძულზე, სადაც რაიმე საწყისი (დაბადების დღეზე მოტანილ წიგნს ან სათამაშოს!) მხოლოდ მამინ ჰქონდა ფასი, თუ შენთან ერთად, შენს სიხარულს სხვებიც გაიხარებდნენ:

მერცხლები ჰაერს ჭყავილით ჰხევენ და მზე კასრებით იღვრება ციდან...

ჩამოდი ჩქარა! ამ არყის სეგებს შენი თვლებით შეგხედო მინდა! რისთვის ან ვისთვის ვწერ ამას? მე თუ მსიამოვნებს ჩემი წარსულის გახსენება, განა სხვასაც დააინტერესებს?

თუმცა, ვინ იცის?... მწერლის სიტყვას ადამიანზე ზემოქმედების ბერის საშუალება გააჩნია და ერთი მათგანი - ბავშვობის მოგონებაცაა. მაგრამ ამას, ჩემზე უკეთ დოსტოევსკის უთქვამს:

...თქვენი მომავალი ცხოვრებისათვის მოგონებზე უფრო ძლიერი, სალი და სასარგებლო - არაფერია. მით უმეტეს, თუ ეს მოგონება ბავშვობის ასაკიდან, მშობლების სახლიდან გამოვყავთ... ასეთი მოგონებები ბევრი უნდა დაიგროვოთ და თან გაყოლოთ ცხოვრებაში და მამინ არასდროს წაწყმდებით. ერთი კარგი მოგონებაც რომ დაგრჩეთ გულში, ისიც როდისმე გიხსნით და დალუგავს გადაარჩინეთ... („ძმები კარამაშოვები“).

ჩქარობს დრო... ჩვენს მკერდში თანამოიერად ტყუტყუტს საათი და ცხოვრების წუთებს ითვისებს. უკვე შორსაა ეგზოპერის „პატარა უფლისწულის“ ქვეყანა, და მაინც ნუ დავივიწყებთ მას, თუ არ გვსურს ვათავადეთ იმასე ადრე, ვიდრე შეწყდება ჩვენი მავსიცემა.

მიხეილ ქაჩიკიძე

ბრიგოლ შერაძე

ვარშავის უნივერსიტეტის მეცნიერულში, მემორიალურ დაფაზე ამოკვეთილია იმ პროფესორთა გვარები, რომლებიც ფაშისტთა მხეცობას შეეწირნენ. მათ შორის რიგით მე-15 ქართველი კაცი - გრიგოლ ფერაძე.

გრიგოლ ფერაძემ, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ბონის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება.

იცოდა ქართული, გერმანული, ფრანგული, რუსული, ინგლისური და პოლონური ენები. თავისუფლად სარგებლობდა ძველებურძნული, სომხური, სირიული და არაბული წყაროებით, მან ძვე-

სახელოვანი გაგულიშვილი

ლებრაულიდან თარგმნა „ქებათა ქება“.

ორიენტალისტთა ერთ-ერთ პაექრობაზე მამა გრიგოლს თეოლოგიის ცოდნითა და მჭერმეტყველებით მოუხიბლავს დამსწრენი და იმავე წელს მსოფლიოში სახელგანთქმული პატრიარქების თანდასწრებით, საქართველოს მფარველ კენტრბერის მთავარეპისკოპოსის მიერ არქიმანდრიტად ხელდებულა. ამის შემდეგ მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პა-



ბრიგოლ შერაძე

ტროლოგიის პროფესორის წოდება.

გრიგოლი ქართულ ეკლესიაშიც წირავდა თურმე. 1929 წელს ნაცისტებმა დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ გერმანიაში აღარ დაეღობებოდა და ინგლისში გადავიდა, სადაც 1932 წელს ლექციებს კითხულობდა ქართული სასულიერო მწერლობისა და ბიბლიის შესახებ. შემდეგ მიიწვიეს პოლონეთის უნივერსიტეტში და პატროლოგიის კათედრა ჩააბარეს.

მამა გრიგოლი იკვლევდა ქართულ სასულიერო მწერლობას, ჰქონდა საკუთარი ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, წერდა ლექსებს. გრიგოლ ფერაძეს შესთავაზეს ეპისკოპოსობა, მაგრამ მავდელთმთავრის მიტრის მაგიერ მან წამებულის გვირგვინი მიიღო.

მამა გრიგოლი დააპატიმრეს ფაშისტებმა და ოსვენციმის გაზის კამერაში გამოასალმეს სიცოცხლეს. ვაზის კამერაში იგი თავისი ნებით შევიდა იმ ებრაელი პატიმრის მაგიერ, რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა.

ეს მოხდა 1944 წელს მამა გრიგოლი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ლიან ლათუპაშვილი



ვინაიდან ჩვენც ამ უბანში („მეფეთუ-
ბანში“) ამ ქუჩაზე (მეფეთუბანის
ახლა და აღმშენებლის გამზირი) ავი-
დეთი ფეხი, ვეზირთ პირველ სწავლა-
განათლებას მე-11 საშუალო ვაჟთა სკო-
ლის კედლებში და, ასე ვთქვათ, კაცებად
ჩამოვალბობთ ამ გარემო-მდებარეში, ვი-
ფეთუბან, ურიგო არ იქნება გაგვეხსენე-
ბინა ჩვენი თანაკლასელი, ნათელი, სუ-
ფთა პიროვნება, კეთილშობილური წა-
რმოშობის, რაფინირებული ინტელიგენტი,
ფაქტში იუმორის მქონე, ჩვენი ძმა და
მერხის ამხანაგი – ირაკლი ყიფიანი, რო-
მლის დაკარგვამაც დიდად გაატანა გული
და ავგაღებინა ხელში კვლავ!

ვინ იყო ირაკლი ყიფიანი? იგი იყო
პირველ რიგში კარგი ყმა-ქართველი,
მტკიცე პირის, გაგების კაცი, რომელიც
(მისი წინაპრის დიდი დიმიტრი ყიფი-
ანისა არ იყოს) „პოზე არ იტყოდა „არას“
და „არაზე“ არ იტყოდა „პოს“.

ირაკლი ის კაცი იყო, რომელმაც
საქართველოს ისტორია, „ვეფხისტყა-
ოსანი“, ავთორიტული ლიტერატურა, ზე-
პირად იცოდა, განსაკუთრებით XIX სა-
უკუნის ისტორია, ლიტერატურა, ხელო-
ვნება მისი გატაცება იყო.

დიდ პატივს სცემდა რუსეთის გენი-
ოსებს და მათი თუ ჩვენი ნაწარმოებების
გარჩევისას მიუკერძოებელს და მართლაც
მსმენელი დიდი მოყრდენით უსმენდა,
ეთანხმებოდა და ტკებობდა, უდიდეს სი-
ამოვნებას ეზიარებოდა და ყოველივე ეს
სამუდამად აღიბეჭდებოდა მის მეხსიერე-
ბაში.

იგი ასევე უბადლო მცოდნე იყო მსო-
ფლიო ლიტერატურის. საოცრად მსუ-
ბუქი, დამატარებელი საუბრის დროს ხე-
დავდით მის ფილოსოფიურ, ღრმა ერუ-
დიციას და მისი უნებლიე ტყვე ხდებო-
დით.

ასეთი მრავალმხრივ განათლებული
იყო ჩვენი ირაკლი, ასეთად იცნობდა ყველა
და ჩვენ სუბიექტურობაში ვერაინდ-
გვდებდა ბრალს, ვისაც ერთხელ მაინც
რაიმე შეხება ჰქონდა მასთან.

ჩვენ, მისი თანაკლასელები, ირაკლის
ეთვლიდით სინდისის კაცად და სწორედ
ამიტომ ჩვენმა თანამემამულემ, ნიკოლოზ
მწერალმა გიზო ნიშნიანიძემ, ირაკლი ყი-

ბდა. ირაკლი 11 კლასი ისე დაამთავრა,
რომ „ა“-ზე ნაკლები ნიშანი არ მიუღია.
ამიტომ იყო, რომ დაიმსახურა უმაღლესი
ჯილდო მედიის სახით და იმავე წელს
უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მართა-
ლია, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლე-
ბლის კარი მისთვის ღია იყო, მაგრამ
მისმა რომანტიკულმა სულმა (ახალგა-
ზრდაობაში ლექსებს წერდა და არც თუ
ურიგოდ) ფილოლოგიის ფაკულტეტისაკენ
უბიძგა და ისიც მიჰყვა გულისთქმას.

უნივერსიტეტში უფრო გამოიკვეთა
მისი ნიჭი და ერთდროულად, მან წითელ
დიპლომზე დაამთავრა იგი და მისი რე-
ქტორის – „მრისხანე“ ნიკო კეცხოველის
ყურადღება და მადლობა დაიმსახურა,
რომელმაც მასწავლა შესთავაზა ირაკლის
უნივერსიტეტის ასპირანტურაში დარჩენა.
ირაკლი თავაზიანი უარი შეჰკადრა სა-
ყვარელ რექტორს და 1952 წელს გამო-
მცემლობა „სახელგამში“ (შემდგომ „სა-
ბჭოთა საქართველოში“) დაიწყო მუშა-
ობა. ხოლო როდესაც 1966 წელს „სა-
ქართველოს ენციკლოპედიის“ გლობალურ
გამომშვებს სათავეში ჩაუდგა ჩვენი სასი-
ძადლო პოეტი ირაკლი აბაშიძე, იმ წამს
ნიჭიერი ხალხი შემოვირბა და მათ შო-
რის ირაკლი ყიფიანსაც შესთავაზა თავი-
სთან მუშაობა, რაზედაც ირაკლი დიდი
სიამოვნებით დათანხმდა. იგი ინიშნება
ფილოსოფიისა და სამართლის რედაქციის
უფროს სამეცნიერო რედაქტორად, ხოლო
1967 წლიდან „სიტყვანისა“ და ბიბლიო-
ოგრაფიის“ რედაქციის გამგედ.

უდიდესი მონღობითა და რუდუნე-

ირაკლი ორი შვილის მამაა, ისინი
განათლებული, განსწავლული ახალგა-
ზრდები არიან და ქვეყნისა რომ გამო-
ადგება, ისეთ შვილებს უზრდიან სამშო-



ირაკლი ყიფიანი

ბლოს ესენი არიან – ირაკლი და ნინო.
სხვაგვარად არც შეიძლება – ირაკლის
შვილიშვილები ასეთები უნდა იყვნენ.

ჩვენი ირაკლი მეგობრობდა სახელო-
ვან ადამიანებთან: როგორც აღვნიშნეთ,
პოეტი ირაკლი აბაშიძე დიდი დამფასე-

ვიციდით, რომ ირაკლის მეგობრებს შო-
რის პაატა კანნიასვილის საპატიო ადგილი
ეჭირა.

ასევე 80-იან წლებში საინტერესო
და მჭიდრო კავშირი ჰქონდა „იუმორისა
და სატირის სახელმწიფო თეატრის“ მხა-
ტრულ ხელმძღვანელთან, საქართველოს
სახალხო არტისტთან, ბატონ თენგიზ ჩან-
ტლაძესთან. ისინი წლების მანძილზე
ერთად თანამშრომლობდნენ: როდესაც ბა-
ტონ თენგიზს, ამ ზეზუნებრივი ნიჭით
დაჯილდოებულ მსახიობსა და ხელმძღვა-
ნელს, რაიმე ნაწარმოები მოეწონებოდა,
მასწავლე ირაკლის შეეხმებოდა. ერთხელ
ბატონმა თენგიზმა ირაკლის სთხოვა მწე-
რალ ვ. კატაევის პიესა „წრის კვადრა-
ტურა“ – ეთარგმნა და ამ თეატრის
მოსარგები სცენარი გაეკეთებინა. ირაკლი
დაეთანხმა. როგორც მას სჩვევია, დიდი
პასუხისმგებლობით და რუდუნებით სულ
მოუღო ხანში ჩააბარა სცენარი ბატონ
თენგიზს.

პიესას ირაკლიმ სათაური შეუცვალა,
შთაბეჭა ქართული სული, ასე ვთქვათ
„ქართული ჩოხა“ მთარგმნა და პიესა წა-
ვიდა სათაურით „ქალი წავიდა სხვი-
სასა“. ეს ნიჭიერი დადგმული საქეტა-
კლი წლების მანძილზე დიდი წარმატე-
ბით მიდიოდა თეატრის სცენაზე.

ასევე ბატონ თენგიზის თხოვნით ირა-
კლიმ მიხეილ ვაგაბშივილის „კვაჭი კვა-
ჭანტრიაძის“ სცენარი გააკეთა, რომელიც
უნდა ყოფილიყო მცირე მოცულობიანი
და მისადაგებოდა ამ თეატრს, თვით ბა-
ტონ თენგიზს, რომელსაც კვაჭის მთა-

სადაც ფანი ავიდებით

ბით, ხანგრძლივი, თავაუღებელი შრო-
მითა და გარჯით ამ სფეროში მისმა
მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო და მა-
დიდობა ხელმძღვანელმა არ დაუკარგა
ირაკლი ყიფიანს ესოდენ საპატიო, უძი-
მესი შრომა, თავისთან გვერდში ამო-
იყენა და მასთან ერთად განიზარა ის
დიდი ჯილდო და აღიარება, რასაც სა-

ბელი იყო მისი ნიჭისა და უნარის. ბა-
ტონი როინ მეტრეველი, ჩვენი ერისკაცი
და სახელოვანი პიროვნება წლების მან-
ძილზე ქართულ ენციკლოპედიამ გვე-
რდიგვერდ იღვწოდა ირაკლისთან ერთად.
მათ ჰქონდათ ფაქტში, ურთიერთპატივი-
სცემის გამოუმხატველი დამოიდებულება,
რაც ყველასათვის ნათელი და გასაგები
იყო.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწე-
რალი და კრიტიკოსი ოთარ ევაძე ირა-
კლისთან თბილ დამოიდებულებაში იყო.
როდესაც მან წაიფიხა, გაეცნო ნაშრომს
„ნარკვევები ენციკლოპედიური კულტურის
ისტორიიდან“, ირაკლის ასეთი სიტყვე-
ბით მიმართა: „ბატონო ირაკლი, ამ წი-
გნს ყველა, ნებისმიერი თვალსაზირო მე-
ცნიერი უყურებდათ მოაწერს ხელს და
მათ შორის ჩემი მოყრდენელი ხელწე-
რაც იქნება“.

ცნობილი ნიჭიერი მწერალი და მკლე-
ვარი აკაკი ბაქრაძე ყველა თავის ახალ
გამოცემულ წიგნს, თბილი, სიყვარულით
სავსე წარწერით უსახსოვრებდა ხოლმე
ირაკლის და მის აზრს დიდ ანგარიშს
უწევდა. ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან
დამბაკცებული „ნოდარა და ირაჩა“ (ასე
მიმართავდნენ სიყვარულით ერთმანეთს ნო-
დარ ლუმაბაძე და ირაკლი ყიფიანი) ადრევე
შეთანხმდნენ, რომ მათ შვილიშვილებს,
თუ ბიჭები იქნებოდნენ „ნოდარას და
ირაჩას“ დაარქმევდნენ და ასეც მოხდა,
დადიან ეხლა (უმცროსი) ნოდარა და
ირაკლი და თავიანთი სრულყოფილი, მშვე-
ნიერი ცხოვრებით ნათელს ჰყენენ მათ
სულს.

წლების მანძილზე თავიდან არ მო-
უშორებია და ცხოვრების გზის ბოლოსაც
თან წაიყვლა მიხედნილი, ლამაზი სვა-
ნური ქული, რომელიც ცნობილმა პო-
ეტმა მურმან ლუბანიძემ აწუქა „ეპიკო-
პაზე“ – შატალში...

ირაკლის ახლო მეგობრობა ჰქონდა
ბატონ სოსო ტულუშთან. მისი ხელმძღვა-
ნელობით განთქმულ „გაბეის“ ჯან-ორკე-
სტრის დიდი გულშემატკივარი იყო ირა-
კლი ძირითადად ორი მიზეზის გამო: ერთი
რომ ამ ჯანის სული და გული იყო
ჩვენი კლასის, მერხის მეგობარი ბაჯული
გელოვანი და მეორე, თვითონ ბატონი
სოსო თავისი განსაკუთრებული ბუნებით
ხიბლავდა ირაკლის და მასთან სათუთი
ურთიერთობა ჰქონდა. თავის დროზე ვე-
ლაზე პირველმა, სწორედ ირაკლიმ, მი-
უძღვნა წიგნი ამ შესანიშნავ კოლექტივს
და მათი სიყვარული და პატივისცემა
დაიმსახურა.

არ შეიძლება ასენო „გაბეის“ ჯანი
და თვალწინ არ წარმოვადგეს: ახოვანი,
მშენიერი გარეგნობის ვაჟკაცი პაატა კა-
ნნიასვილი, რომლის იმპროვიზებული დე-
კლამაციები, ლექსები და ნოველები გუ-
ლგარის არავის ტოვებდა მრავალრი-
ცობან მკურნებელთა შორის, რომლებიც
მსურველ ტაშით აჯილდოებდნენ მას და
დიდხანს არ უშებდნენ სცენიდან. რა
დასანანია, რომ ეს უნიჭიერესი იმეორი,
„მსახიობი“ და მოქალაქე, რომ იტყვიან,
ნადიდ ქართველი, ნადრეველ წავიდა ჩვე-
ნგან და ჩვენი ირაკლის გულის ნაწილი
(როგორც თვითონ აღნიშნავდა ხოლმე)
წაიღო. ასეც არის, რადგან ჩვენ ყველამ

ვარი როლი უნდა შეესრულებინა: ირა-
კლი თავის დროზე ეს სცენარაც ჩა-
აბარა თენგიზს, რომელსაც ძალზე მო-
ეწონა, დაუკავშირდა ბატონ თემურ ჩხე-
იძეს – ცნობილ რეჟისორს, რათა მას
დაედავებინა საქმე. ბანი თემური სი-
ამოვნებით დათანხმდა. მაგრამ ბანი თე-
ნგიზის ნადრევემ გარდაცვალებამ ეს მშვე-
ნიერი ჩანაფიქრი განუხორციელებელი და-
ტოვა.

ირაკლი ახლო, მეგობრულ, ღრმა
ურთიერთობაში იყო ბატონ დათო ციცი-
შვილთან. წლების მანძილზე ისინი ერთად
იღვწოდნენ საქართველოს ენციკლოპედიის
რედაქციაში – შემდეგ ბატონი დათო
სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „თბილი-
სელს“, სადაც მისივე თხოვნით ამ საზო-
გადოების წევრი გახდა ირაკლი ყიფიანი.
ბატონმა დათომ ირაკლის სთხოვა გაეკე-
თებინა წიგნი „ყველაფერი თბილისზე“.
ირაკლი შეეცადა ამ მიმე ამოცანას და
დათქმულ დროში ჩააბარა ბატონ დათოს
შინაარსობრივად სრულყოფილი, ყოველნა-
ირად გამართული, შესანიშნავი, სქელტა-
ნიანი (2000 ნაბეჭდი გვერდი) წიგნი,
რომლის ხორცშესხმას დასჭირდა უდი-
დესი ძალისხმევა, ენერჯია, ერუდიცია,
ცოდნა და გამოცდილება. იქ ხომ ყველა-
სათვის გასაგები, სუფთა ქართული ენით
არის აღწერილი თბილისის ყოველი ქუჩა-
უბანი, ტაძარ-ეკლესიები ღირსშესანიშნავ
ნაგებობათა ისტორიები, წეს-ჩვეულებებით

ჩვენგან და დარჩენილს განსწავლულ
საქმე შეუსრულებული.

ჩვენი ირაკლი ყიფიანის სახის სრუ-
ლყოფისათვის აუცილებლად ვთვლით
აღნიშნული მისი სასიამოვნო ხმა, რომელ-
იც საოცარი პარმონიული ბეჭედით
ასრულებდა ქართულ, სუფრულ სიმღე-
რებს და ალტაცებაში მოჰყავდა მსმე-
ნელი. ერთ მოსმენად ღირდა: ბაჯული
გელოვანის, გივი პეტრიაშვილის და ირა-
კლის სიმღერა მაგდასთან, სადაც სი-
მღერასთან ერთად მშვენიერად უძღვე-
ბოდა სუფრას, იყო შესანიშნავი თამადა,
რომელიც გონებასაბილურად, იუმორით
შეხვედებოდა რითმებით ხიბლავდა ყვე-
ლას და დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მისი
მამა იყო ბატონი აკაკი ყიფიანი, რომე-
ლმაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და-
ამთავრა და დები იშხნელებთან ერთად
წვეულება უძისოდ არ იმარტობდა, ვი-
ნაიდან მისი მშვენიერი ხმა და გარე-
გნობა გულგრილს არავის ტოვებდა.


არ შეიძლება ცოტა ხანს მითხვე-
ლის ყურადღება არ შევნიშნოთ ირაკლის
სიყვარული მეგობრის გივი პეტრიაშვილის
პიროვნებაზე, რადგან ირაკლი და გივი –
ეს ერთი მცენება იყო და მათ შორის
სუფთა, უხალო მძიბა და მეგობრობა
სუფევდა და ჩვენც ვამაყობდით ამით
რადგან ორივე ხომ ჩვენი მერხის თანა-
კლასელები, „მოკლე შარვლიანი, ხუჭუჭა
პატარბად“ დარჩენილი ჭადარა კაცები
ვართ და ეს გვახსოვდებოდა დღესაც.
მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღარ
არიან, ხელიერად ჩვენ მანაც ერთად
ვართ: ჩვენ ირანასთან, გივისთან, ბაჯუ-
ლისთან, ვახო ჭარბაძესთან, ნოდარ ბე-
თანელთან და ყველასთან, ვინც ამოხდა
და ალამაზედა ჩვენს ცხოვრებას. სამა-
რადისო ხსენება მათ!

ბოლო სიტყვა ჩაროზს ჰგავს, რომ
იტყვიან, ჩვენც ასე გვინდა ჩვენი წე-
რილი ამით დავაგვირგვინოთ და ადვინ-
შნით ჩვენი ირაკლის ის სიყვარული,
პატივისცემა და მოფერება, რასაც ჩვე-
ნთან, მეგობრებთან გამოხატავდა თავისი
კოლექტივის (ენციკლოპედიის თანამშრო-
მლები) მიმართ. მისგან სწორად გაგვი-
გია, რომ ამ მჭიდრო, თბილმა კოლექტი-
ვმა, სადაც ირაკლი 30 წელზე მეტი
იმუშავა, სხვაგან წასვლანზე ხელი ააღე-
ბინა – მიუხედავად იმისა, რომ მას არა-
ერთი საინტერესო შემთავაზება ჰქონდა
სხვადასხვა დროს. ვამაყებოდა, რომ მათ
დაწესებულებას ერისკაცნი ხელმძღვანე-
ლობდნენ: ბატონი ირაკლი აბაშიძის, რომ
ხეტირეველის, ავთანდილ საყვარელიძის სა-
ხით და თვლიდა, რომ უამაოდ, ჩვენ
ისტორიას რადაც დადებდებოდა.

როგორც ყოველთვის, ჩვენი ირაკლი
აქაც მართალია და ჩვენც სიამოვნებით
ვეთანხმებით მას.

ვინ მოსთვლის კიდევ სხვებს და
სხვებს, რომლებიც დიდი გულისწინებით
და დანახებით ემშობილებოდნენ უკანა-
სწინელ გზაზე მიმავალ სახელოვან მამუ-
ლიშვილს და რამდენი ცრემლი გაჰყვა
თან მას.

ჩვენ, ირაკლი შენი კლასის მეგო-
ბრები, „შაგუნის ტყავივით“ სულ სი-
მციერეში გადავიდებით... გვაკლდებით და
მიდიხართ და მხოლოდ იმის იმედით-და
ვართ, რომ ჩვენი „კლასის ბიჭების“ შვი-
ლები და შვილიშვილები ღირსეულად ავი-



მარცხნიდან – შიშო მადვარაძე, რინე მებრძეშვილი, ირაკლი ყიფიანი, გორან მებრძეშვილი, იმანო მარკოსიანიძე, ლევან ბილაშვილი

ფიანს (ლოგინზე მივაჭყულ მძიმე ავა-
დმოფეს) გამოუგზავნა თავისი წიგნი: „პა-
ემანი ვერაზე“ – გულწრფელი წარწე-
რით: „ჩვენი თაობის სინდისს, ირაკლი
ყიფიანს“ გიზო ნიშნიანიძისავან.

მადლობა მას, რომ ყველა ჩვენგანის
სათქმელი ერთ ფრთიან, ლამაზ წინადა-
დებაში მოაქცია.

რა თქმა უნდა, ირაკლიმაც არ და-
აყოვნა: ისეთი პასუხი აახლა, რომელიც
მის ავტორს შეეფერებოდა, თავმდაბლად
მადლობას უხდოდა და სამშობლოს საყე-
თილდოდვე ჯანმრთელობისა და ახალ
შემოქმედებით წარმატებებს უსურვებდა.
ირაკლი ყიფიანი დაიბადა 1928 წლის
12 თვისს ქართულ ოჯახში, სადაც სამი
ბავშვი იზრდებოდა ორი და და ერთი
ძმა. ირაკლი უმცროსი იყო და საყოვე-
ლთაო სიყვარულს, ალერსს, მოფერებას
ყველასაგან იღებდა, მაგრამ განსაკუთრე-
ბით ღელდა ანებებრებდა და ისიც სა-
ოცარი სინაზით, სიფაქნით და სიყვარუ-
ლითვე პასუხობდა ყველას.

ირაკლი და ნათელა განსაკუთრებული
სიყვარულით, მოყრდენებით და ურთი-
ერთობატივისცემით გამოირჩეოდნენ ჩვენს
ამხანაგებში, რაც ჩვენთვის კარგი მავა-
ლითი იყო. ასევე დიდი პატივისცემით
და სიყვარულით იყო გამსჭვალული
უფროსი დისადმი – მერისადმი.
ირაკლი უნივერსიტეტის პიროვნება გა-
ხლდათ: როგორც ჩვენი მერხის ამხანაგი
გივი ჯორჯენაძე აღნიშნავს: „მთელ ჩვენს
კლასში ის სხვა ბიჭი იყო თვითმობადი
და განუმეორებელი, ყველასაგან გამო-
რჩეული“.

მე-11 ვაჟთა სკოლაში, განსაკუთრე-
ბით ჩვენი კლასი იყო გამორჩეული და
მასწავლებლების სიყვარულს იმსახურე-

ხელმწიფო პრემიის ლაურეატობა ჰქვია.
ჩვენ, მისი მერხის ამხანაგები მასთან
ერთად ვხარობდით მის ესოდენ დიდ და-
ფასებას და გულწრფელად ვულოცავდით
მას.

ირაკლი ყიფიანი, გარდა სამსახურე-
ბრივი მეცნიერული მოღვაწეობისა, იყო
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
(სალოქტორო მასალა გამზადებული მა-
გიდაზე დარჩა), იყო „რესპუბლიკის და-
მსახურებელი ჟურნალისტი“, „კულტურის
და მსახურებელი მუშაკი“, მწერალი,
მთარგმნელი, იუმორისტული ციკლის მო-
თხრობების ავტორი, იგი საერთო ჯამში
100-ზე მეტი წიგნის, სამეცნიერო ნა-
შრომისა და სტატიის ავტორი და მთა-
რგმნელი იყო.

წლების მანძილზე ნაყოფიერად იველე-
ვდა წიგნთმცოდნეობას, კერძოდ საენცი-
კლოპედიო საქმიანობის ისტორიის სხვა-
დასხვა ასპექტებს, რაც შეემატებოდა მის
მონოგრაფიაში „ნარკვევები ენციკლოპე-
დიური კულტურის ისტორიიდან“. აღსა-
ნიშნავია, რომ ასეთი სახითის ნაშრომი
პირველად საქართველოში.

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა,
ირაკლი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე
განაგრძობდა მუშაობას წიგნზე „ირაკლი
აბაშიძე – ენციკლოპედიისტი“.

ირაკლი ყიფიანს ჩვენს ამხანაგებში
ბედნიერ კაცად ვთვლიდით: მას თავის
დროზე ეწვია დიდი სიყვარული, რომელ-
იც ბოლო წუთამდე ყველას სამაგა-
ლით იყო: მისი რჩეული – თინა სა-
მუკაშვილი ის ქალია, რომელმაც ირა-
კლის შეუქნა თბილი, მუდღერი, ერთგუ-
ლები და სიყვარულზე ამყნებული ოჯახი.
ის იყო ცოლიც, მეგობარიც და სანი-
მუშო დედაც და ასეც გრძელდება ახლაც.



მარცხნიდან მარჯვნივ: გორან მებრძეშვილი, ირაკლი ყიფიანი, გორან მებრძეშვილი, რინე მებრძეშვილი, ირაკლი აბაშიძე, ვლადიმერ აბაშიძე, ვლადიმერ (პოლი) მანასიძე

და ყველა იმ მშვენიერებით, რომლითაც
შემოიბოლია ჩვენი ლამაზი დედაქალაქი –
თბილისი.
როდესაც, ბატონმა დათომ გულდა-
სმით შეისწავლა ეს მართლაც უნიკა-
ლური ნაშრომი, ასე მიმართა ირაკლი:
„ბატონო ირაკლი, ამ ესოდენ საპატიო
წიგნის გამოცემით, ჩვენ ხალხს და მით
უმეტეს უცხოელ ჩამოსულ სტუმრებს დიდ
მეგობრობას გაუწევს, ზუსტად მიხვდით
ჩვენს ჩანაფიქრს, დიდი მადლობა ამისა-
თვის, დიდი მადლობა“.
დასანანია, რომ ირაკლი ვერ მო-
ესწრო გამოეცა ეს წიგნი. უდროოდ წავიდა

ზარდნენ ჩვენს ოჯახებში და თავიანთი
კეთილშობილური ტკეპითა და შრომით
ჩვენ სახელებს აუვად არავის ასწენებო-
ნებენ და ჩვენც ამაყად შეგვიძლია განვა-
ცხადოთ:
„მეფეთუბნელები ვართ“, „მეფეთუბნე-
ლები“
თბილისის მე-11 საშუალო სკოლის
მერხის ამხანაგები:
გელა ქვათაძე, კუკური რიგაძე,
მიშა კავილაძე, გივი ჯორჯენაძე,
ვილენ ჩიქოვანი, რამაზ გამცემლიძე,
გერონტი ცაგარეიშვილი, ფრიდონ
პატაძე, ზინა ხელაშვილი

იუზიდიანი მეფეთუხანი

პური, წყალი და პაერი, აი სად არის კაცობრიობის არსებობის, წინმართელობის, მხნეობის უპირველესი და უმთავრესი დერიტა ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი მონაპოვარი, რომელმაც გადაარჩინა კაცობრიობა შიმშილის უღმობელი შემოტევისაგან და მისცა ადამიანის გონიერებას საფუძველი ბუნების შეცნობისა და მის სასარგებლოდ გარდაქმნისათვის „პური ჩვენი არსობისა“ – ფრაზა უაღრესად ტყეადი შინაარსისა და იმედი სიცოცხლის მარადიულობისა.

პური ქართველი კაცის, ოჯახის, ქვეყნის ძლიერების სიმბოლოა. ყველას კარგად გვახსოვს უახლოესი წარსული. პურზე გაუთავებელი რიგები, უძილო ღამეები, გადაღლილი და განერვიულებული ხალხი, ნორმირება და შემდგომ ლიბერალიზაცია უძიმესი კრიმინოგენული ვითარება და ეკონომიკური ქარტეხილები. სწორედ ამ ურთულეს პერიოდში ჩაუდგა სათავეში სრულიად ახალგაზრდა, N4 პურის ქარხანას მალხაზ დოლიძე. მის ბიოგრაფიაში უჩვეულო არაფერი არ არის. თბილისის 24-ე საშ. სკოლა, შემდგომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი წარჩინების დიპლომით, დღეს, იგი აღნიშნული ფაკულტეტის ასპირანტი მადიებელია.

უკვე 30 წელია დიდი სიყვარულით და თავდადებით ემსახურება ამ კეთილშობილურ საქმეს. არის

მრავალი რაციონალიზატორული წინადადებების და გამოგონებების ავტორი, არაერთი საერთაშორისო სემინარის და გამოფენის მონაწილე, გამოცდილი პროფესიონალი – ცნობილი მეწარმე.

ბატონი მალხაზის თქმით – პურის ცხოვრების შეხვედრით მარტივი, მაგრამ ძალიან საპასუხისმგებლო და რთული საქმეა. როგორც სპეციალისტი, გვიჩვენებს ქარხნული პურის ერთგული ვიყთ, რადგან ნედლეული პერმანენტულად გადის ლაბორატორიულ შემოწმებას და ამიტომ მის ტექნოლოგიურ გადაწყვეტებებში, განსხვავებით კერძო წარმოებისაგან, ეკოლოგიური და მიკრობიოლოგიური ჯანმრთელობის სრული გარანტიებია.

პური მეპურემ უნდა აცხოს. ეს სრული ჭეშმარიტებაა. როდესაც ქარხანას სათავეში უდგას თავისი საქმის შესანიშნავი სპეციალისტი, თავის საქმეზე, ქარხანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ეს სიტყვები კი-

დეკ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მისი პოლიტიკური მრწამსი, ისევე

ნიკოლაძეს ეკუთვნის და დიწვევით ესადაგება

და დღეს ხე-ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. იგი გამუდმებით ახლის ძიებაშია. ქალაქში პირველმა დაწერა მოძრაი მაქანა-მაღაზია, გამომცხვარი პურის პოლიპროპილენის პარკებში დაფასოვდა და სხვა მრავალი.

ბატონი მალხაზი ხელოვნების დიდი მოტრფიალევია. საყვარელი საქმის გარდა გატაცებულია დიზაინით, მართლაც ასეა. ჩვენ მეფეთუხელ საბაზს 7 აგვისტოს 50 წელი უსრულდება. ბატონო მალხაზ, მეფეთუხნის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოება სულითა და გულით გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

50 წელი ბევრი არ არის. წინ კიდევ დიდი, ფართო გზა გაქვთ გასავლელი. სულ ასე ალაღად, თამამად გველოთ მშობლიურ მიწაზე და თქვენს მიერ გამომცხვარი ქართული პურის ხარნაღი არ მოკლებოდეს მშობელ ხალხს.

იცოცხლეთ, იღვკრძელოთ, მრავალჟამიერ!!!

მამა სალუშვამიძე, საზოგადოების თავმჯდომარე



როგორც უმრავლესი მეწარმისა, არის „მრეწველობა გადაარჩინა საქართველოს“. ბატონი მალხაზის დიდი სურვილია, რომ საქართველოს პარლამენტი ეკონომიკური ორიენტაციის იყოს, რომელსაც პროფესიონალები წარმართავენ. „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში ხალხი და ვერც საზოგადოება ვერ ამაღლებდა სხვისი დახმარებით. თუ არა საკუთარი შრომითა და ჯანით“. ეს სიტყვები ნიკო

არქიტექტურით. მისი დიზაინით გაკეთებული რამდენიმე მაღაზია. თავდაუზოგავი შრომის, მაღალი პროფესიონალიზმის უდიდესი დაფასება იყო „ღირსების ორდენი“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით გადაეცა 1997 წლის 3 ივნისის ბრძანებულებით.

შესანიშნავი ოჯახიშვილი, თვითონაც ბრწყინვალე ოჯახის უფროსია. მუუღლე – თამარ კეჭელი სა-

„მანდატური“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „მეფეთა გარე მღვი“ ე.ი. მისი მცელი ანუ იგივე ბოქაული, იასაული.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი (1986 წ. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქოვაძე) სიტყვებს „ბოქაული“ და „იასაული“ განმარტავს როგორც პოლიციის მოხელე.

ამგვარად, საქართველოში მანდატურებად პოლიციის მოხელენი იხსენიებოდნენ.

თვით სიტყვა „პოლიცია“ გერმანული წარმოშობისაა „პოლიცია“ – ლათინურია, გაუგებარია, რატომ ვიყენებთ ქართულ ენაში უცხო წარმოშობის სიტყვებს, როდესაც გვაქვს შესატყვისი ლამაზი სიტყვა „მანდატური“?

ამ საკითხის გარკვევა ენათმეცნიერებს მიეზნოდნენ. მე კი მინდა ამით საგანგებო პუბლიკაციაში მოგიხროთ 80-იანი წლების მეფეთუხნის მანდატურებზე, მათ უფროსებზე (მანდატურთ-უხუცესი), რომლებიც იცავდნენ უხნის სიმშვიდეს, წესრიგს და მოქალაქეთა ღირსებას.

მეფეთუხანი (ყოფილი პლენაროვის გამზირი) ყოველთვის გამოირჩეოდა ხალხმრავლობით, განსაკუთრებით საღამოაჟამს, როდესაც გამოეფინებოდა ახალგაზრდობა და მიაუშურებდა ცინოთეატრებს, პარკებს, სპორტულ დარბაზებსა და პარკებს.

საუცხოო სანახავე იყო ამ დროს პლენაროვის გამზირი გაჩირაღდებული, ყვეაილებით დამშვენებული და მზიარული.

ამ სილამაზეს სიმშვიდეც სჭირდებოდა, ამ სიმშვიდეს იცავდა მეფეთუხნის მიღწევა, ასე ეწოდებოდა მამინ პოლიციას, რომლის პირად შემადგენლობას თითქმის ყველას იცნობდნენ მეფეთუხნელი (პლენაროველი) ახალგაზრდები. იყო შემთხვევები ახალგაზრდებს შორის ჩხუბის, კამათის, მაგრამ იგი, როგორც წესი, მშვიდობიანად მთავრდებოდა მეფეთუხნელი (პლენაროველი) მანდატურების ჩარევით შედეგად. ისინი ყოველთვის დროზე ჩნდებოდნენ მოკამათეთა შორის.

მრავალი ღირსეული მეფეთუხნელი მანდატურთუხუცესის გახსენება შე-

მეფეთუხნის მანდატურებზე

იძლება ამ საგანგებო პუბლიკაციაში:

შოთა კენჭაძე, ბორის ქებურია, ბიჭიკო კვიციანი, ალექსანდრე კუნელაური, გული ნაჭყვია, ვახტანგ გვარამია...

თითოეულ მათგანზე ვრცელი მოგონებები შეიძლება დაიწეროს, რადგანაც მდიდარია მათი ცხოვრების გზა, სამსახურებრივი საქმიანობა ფათერაყებით, რისკით, ბოროტმოქმედებთან პირისპირ შეყრით, განცდებით და გამარჯვების სიხარულით.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ბევრი მათგანი აღარ არის ჩვენს შორის და მათზე მხოლოდ მოგონებები შეიძლება დაიწეროს.

საგანგებო მასალის მოცულობა არ იძლევა საშუალებას, დაწერილებით მოგიხროთ ყოველ მათგანზე, ამჯერად საუბარი გვექნება მხოლოდ ერთ-ერთზე პოლიკონი ვახტანგ გვარამიაზე, რომელიც დღესაც აქტიურად მოღვაწეობს სამართლებრივ სფეროში.

ვახტანგ გვარამია დაიბადა 1939 წლის 7 ნოემბერს ქ. ფოთში, 1962 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ მუშაობდა ქ. ფოთის ნავსადგურის იურისკონსულტად, ხოლო 1963 წლის აგვისტოდან დაინიშნა ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში გამომძიებლად. შემდგომ იგი, როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა, სპეციალობით გადმოჰყავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც 1972 წლამდე მუშაობდა უფროს გამომძიებლად, ხოლო შემდგომ 1983 წლამდე თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამომძიებო განყოფილების უფროსად. 1985 წლის 5



მარტს ვ. გვარამია დაინიშნა ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად.

1987 წლიდან მუშაობდა თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1989 წლის ნოემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1990 წლის დეკემბრიდან დაინიშნეს საქართველოს პროკურორის პირველ მოადგილედ და კოლეგიის წევრად. საგანგებო მასალის მოზადებისას შეხვედრა მქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრთან გენერალ-ლეიტენანტ გურამ გვეტაძესთან. მას ვთხოვე აზრი გამოეთქვა პოლიკონი ვახტანგ გვარამიას მიმართ, რადგანაც მათ ხანგრძლივი სამსახურებრივი ურთიერთობა აკავში-

რებდათ.

ბატონმა გურამმა ბატონი ვახტანგი დაახასიათა როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი, დაკვირვებული და მაღალი პროფესიონალური დონის გამომძიებელი. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო სისხლის სამართლებრივი საქმეების გამოძიებას, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში ანდობდნენ ვახტანგ გვარამიას.

ყოფილა მინისტრმა ხაზგასმით აღინიშნა, რომ იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამომძიებელს, ვახტანგ გვარამიას არ დაუშვია კანონიერების დარღვევის, ბრალდებულთა უფლებების დარღვევის არცერთი შემთხვევა.

კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების დასახელებიდან ყოფილა მინისტრმა თავი შეიკავა, რადგანაც ბევრმა მსჯავრდებულმა, რომელთა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს ბატონი ვახტანგი იძიებდა, მოიხდა სასჯელი და არ არის სასურველი მათი ვინაობის და დანაშაულებრივი საქმიანობის გახსენება.

იგივე კითხვებზე ბატონმა ვახტანგმა ასეთი პასუხი გამცა: „ჩემს მიერ გამოძიებული იქნა ძალიან ბევრი სისხლის სამართლის საქმე. ურთიერთობა მქონდა მრავალ ასულ ბრალდებულთან, თითოეული საქმე იყო განსაკუთრებული, ვინაიდან კონკრეტულ ცოცხალ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. ალბათ ბევრ ჩემს ყოფილ ბრალდებულს დავამახსოვრდი ჩემი მათთან ურთიერთობით. სასჯელის მოხდის შემდეგ ბევრთან მქონდა შეხვედრები და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს, ჩემი ან ჩემი თანამშრომლების არაობიექტური მიდგომის გამო უკმაყოფილება გამოეთქვას.“

ყველაზე მეტად დამამახსოვრდა სისხლის სამართლის საქმე აღძრული მთავარ მომარაგება-გასაღების სამმართველოს თანამშრომლის მიმართ, როდესაც ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციის მთავარმა ბუღალტერმა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, რკინის ხელკეტით მხეცურად მოკლა მილიციელი და დარაჯი, ხოლო ადმინისტრაციულ შენობას ცეცხლი წაუკიდა. ეს დანაშაული დამამახსოვრდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩემი თვალთ ვნახე, როგორი მარტივი შეიძლება იყოს ადამიანი“.

ჩემს კითხვებზე, ბატონ ვახტანგ გვარამიას მიმართ, როგორი მოგონებები დარჩა იმ პერიოდზე, როდესაც იგი ხელმძღვანელობდა მეფეთუხნელ მანდატურებს, უყოყმანოდ აღინიშნა, რომ ეს პერიოდი ერთ-ერთი შთაბეჭდავი და მნიშვნელოვანია მის სამსახურებრივ კარიერაში.

იგი სიამოვნებით იგონებს იმ წლებს და დღემდე რჩება „ძირძველ“ მეფეთუხნელად. ამ განყოფილებაში ჩამოყალიბდა იგი, როგორც ოპერატიული მუშაკი და მრავალრიცხოვანი კოლექტივის თავკაცი.

ბატონი ვახტანგი იგონებს: „მიყვარს მეფეთუხანი. ჩემი ახალგაზრდობისა და სტუდენტობის წლები იქ მაქვს გატარებული. ვცხოვრობდი პლენაროვისა და ჩოღრიშვილის ქუჩის კუთხეში. იქ ცხოვრობდნენ ჩემი სიყრმის მეგობრები, გივი ბაკურაძე, გურამ შარტავა, გივი თვარაძე, ანზორ კენაძე, რენე ცხეტიავა და სხვები. ეს უბანი მინდა იყოს ისევე გამოჩენილი თბილისის სხვა უბნებისაგან და ისეთივე თავისთავადი, როგორც აქამდე იყო. მეფეთუხანი სუფთა ქართული თბილისია“.

დღეს ბატონი ვახტანგ გვარამია საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილეა, ნაყოფიერად საქმიანობს კანონმშობქმედებით სფეროში, ამასთანავე არ ივიწყებს მეფეთუხანს და ყოველმხრივ ხელს უწყობს მისი ტრადიციების აღორძინებას.

ინფო ანდელუაძე საქართველოს პარლამენტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი ძირძველი მეფეთუხნელი



საქართველოს დამსახურებული არტი- სტი, ღირსების, საპატიო ნიშნის ორდენის და მრავალი სამთავრობო ჯილდოების კავალერი, შრომის ვეტერანი ოთარ ბახტაძე დაიბადა და გაიზარდა „მეფეთუ- ბნის“ ერთ-ერთ უძველეს „მაღაქნიბს“, ახლა, ფიროსმანის ქუჩაზე №27-ში.

ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ პროფესორები, ექიმები, მსახიობები, არქიტექტორები, მხატვრები, მოქაურობები, ყომარ- ბაზები, სპორტსმენები, მაგრამ „გამრტყმე- ლები“, „რაქიანი“ ქურდები და სხვადა- სხვა „პროფესიის“ ადამიანები.

ასეთი მრავალფეროვანი „პროფესი- იების“ მქონე საზოგადოებაში აღზრდილი ოთარ ბახტაძეს არასოდეს უოცნებია მსა- ხიობობაზე. იგი დაიბადა 1928 წლის 28 მარტს. სწავლობდა თბილისის 29-ე სა- შუალო სკოლაში. 13 წლის იყო, როდესაც დაიწყო დიდი სამამულო ომი. ჯარში გაიწვიეს ოთარის უფროსი ძმა ბუჭუ- შვილიძე – სიძე, ოჯახში დარჩნენ მო- ხუცი დედა, ავადმყოფი და, ორი მცირეწლოვანი დისშვილი. გაუჭირდა უკარ- ცოდ დარჩენილ ოჯახს, მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა 13 წლის ოთარს, სკო- ლაში სწავლასთან ერთად უნდა ემუშავა. საღამოობით, მუხლებამდე ჩამდგარი ცივ წყალში, ლუდის ქარხანაში რეცხავდა ხის ვეებერთელა კასრებს. და იქ აღუ- ბული გროვებით ინახავდა ოჯახს. მძიმე შრომამ თავისი კვალი დაატოვა მის ჯანმრთელობას, დაეწყო მუხლების ტკი- ვილი, რემატიზმი. ებრძოდა თავის თავს და ლუდის კასრებს, სხვა გამოსავალი მას არ ჰქონდა.

მოულოდნელად, მას მხსნელად ცნობილი მსახიობი კაკო კვანტა- ლიანი მოეხილა, ჯარში გაწვეული სიძის – ვასოს უფროსი ძმა, რომელმაც წაიყვანა კოტე მარჯანი- შვილის სახელობის დრამატულ თე- ატრში და ჩარიცხა სცენის სტაჟიორად. ხელფასიც უკეთესი ჰქონდა, ვიდრე კასრების რეცხვაში უხდიდნენ და შრომაც შედარებით იოლი. თავისუფალი დროც მეტი რჩებოდა სწავლისთვის. ასე იხსე- ნებს ოთარი თეატრში მიხვლას და პირველ ნაბიჯებს სცენაზე. – „ამდენი დიდი მსახიობის ერთად ნახვით დავიბნე, შევბნედი, თვალებს არ ვუჯერებდი, რომ მათ გვერდით მეც ვი- დეკი სცენაზე, მართალია უხმოვ, ტე- ქსტის გარეშე, მაგრამ მაინც ხომ ვი- დეკი. დიდმა მსახიობებმა შევიღოთ მი- მიღეს და გულში ჩამიყრეს. მიხვს გვიან მივხვდი. ბატონ კაკო კვანტალიანს მო- უყვოლია ჩემი, ლუდის ქარხანაში „მო- ლეაწიობის“ შესახებ. დიდი მსახიობები დიდი ადამიანებიც იყვნენ. ეს პატარა ბიჭი პირდაპირ „ამაყეს როლებით“, ხან სკამი შემომქონდა სცენაზე, ხან დაკე- ტილი დროში (რომელსაც შემდეგ პი- ეისის გმირი ააფრიალებდა), ხან კორდო- ნზე დახატული კაყის ხე მეკავა ხე- ლით, რომ არ წაქცეულიყო. მოკლედ, შევიჩვიე სცენას, მაყურებელს. მართა- ლია უხმოვ, მაგრამ თამაშად დაეაბიჯე- ბდი სცენაზე დროშიან-საყმებთანა და ქართული თეატრის კორიფებიც გვერდით. ერთ სპექტაკლში მახარობელიც ვიყავი, – „მოდიან“... დავიძახებდი და იმავე წამს კულისებში გავბოდი.

მთელ უბანს მოვდე ჩემი მსახიობო- ბისა და როლის ამბავი. მოთმინებით

ლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“-ში; შემდეგ თავიდა „კაცია-ადამიანი“, მე- წისქვილე „უამთაბერის ასულში“, ავთა- ნილი „გულსუნდაში“, კაპულეტის მსა- ხური – „რომეო და ჯულიეტაში“, ბე- რიკა „დავით აღმაშენებელში“, პეტრუ- ჩიოს მსახური „ჭირვეული ცოლის მო- რაჯულებში“, რაბინი „ურთელა აკოსტაში“, გამწყვდილე „სოლომონ ისაყინ მეჯღა- ნუაშვილში“ და სხვა.

სამამულო ომი მთავრდებოდა. უჭი- რდა მთელ ქვეყანას, ოთარის მწირი ხელფასით სულს ძლივს ითქვამდა მისი ოჯახი. ცივ ზამთარში ძველი, დახეული, გაცრეცილი პიჯაკით დადიოდა სამსახუ- რში, რადგან პალტოს შესაძენად ფინან- სები არ ჰყოფნიდა. ერთ დღეს, თე- ატრში მისული გაყინულ-გალურჯებული ოთარი შეცოდავდა ივანე გვინიძეს და უთქვაძს: – „ოთარ, ადი მაღლა საგარ- დეობოში და ჩემი სახელით სთხოვე მოგცენ გერმანელი ოფიცრის ნახმარი შინელი, ჩაიცი და ამ ზამთარს იმით იარყო“. ასე გაათბო ივანე გვინიძის ყურადღებამ ოთარ ბახტაძის გული, რომელიც არასოდეს დაავიწყდება.

ომის შიშით ჩანდებულ თბილისის ქუჩებში დათარეობდნენ ყველა ჯურის მძარცველები. ერთ ზამთარს საღამოს, თეატრიდან გამოსული ახალგაზრდა მსა- ხიობები ოთარ ბახტაძე და გივი სავა- ნელი, ბრუნდებოდნენ სახლში. კონსტი- ტუციის და ნინოშვილის ქუჩების ვადა- კეთაზე, ორი შეიარაღებული მძარცველი დახვდათ და „გაიხადეთ“ ოთარს. კი-

მილი სპორტსაზოგადოება „ბურვესტნი- კის“ გუნდში, ისეთი აღიარებული ოსტა- ტების გვერდით, როგორებიც იყვნენ ავთა- ნილი პაიჭაძე, კუნო სიხარულიძე და სხვები.

ოთარ ბახტაძეს ბედნიერება ხვდა წელად, მარჯანიშვილის თეატრის სცე- ნაზე ეთამაშა ისეთი მსახიობების გვე-



ოთარ ბახტაძე

რდით, როგორებიც იყვნენ: ვერიკო ანჯა- ფარიძე, სესილა თაყაიშვილი, მედეა ჯა- ფარიძე, მარინე თბილელი, ვასო გობი- აშვილი, სერგო ზაქარაძე, სანდრო ჟო-

რა ნიჭიერი ბიჭია, – ფიქრობს მეფე- ბატონი, – ახალ სპექტაკლში კარგი როლი უნდა მიეცეთ, ღირსია“. მეფის სიხარულმა ზენიტს მიადწია, როდესაც ოთარ-მეწისქვილემ დაილოგი დაიწყო ჩი- ფიფით, ენის ბორძივით, აკანკალებული, მისუსტებული ხმით, აღფრთოვანებული მეფე სიხარულს ვერ მალავს. მეწისქვი- ლემ დაამთავრა დაილოგი მეფესთან და ძლივს წამოდა ფეხზე, თავის დაკერის სცენიდან, მართლაც კარგად მიბრუნდა და კულისებში გასვლის ნაცვლად მო- წვევით დაეცა იატაკზე და... ზვინავა ამოუშვა. ფარდის დაშვებისთანავე, ორმა სცენის მუშამ გაიტანა ოთარი – მეწი- სქვილე საგრიმბოროში, სადაც თეთრი წვერ-ულვაშით დილაძე ეძინა სკამზე ჩამოძვარდა.

მთელი თეატრი აკავებდა გაცეცხლე- ბულ დირექტორს. – „გაგაგებ მკე- ლაწირაკს თეატრიდან, მგლის ბილუ- თით გაგაპანდურებ“... ბრდღვინავდა ბა- ტონი შალვა.

დილით, დარცხვნილი ოთარი დი- რექტორის კაბინეტთან აიტუხა ბოდი- შის მოსახლელად. გაბრაზებულმა ბატო- ნმა შალვამ რამდენჯერმე გაუარა თა- ეჩაქინდრულ ოთარს და შეგნებულად „ვერ შეამჩნია“. ასე იდგა საღამომდე დირექტორის კაბინეტთან ოთარი. ბო- ლოს, ბატონი შალვას მდივან-მემანქა- ნის შეეცოდა „დამნაშავე“ და სთხოვა, დირექტორს, აპატიეთ და სასტიკი სა- ყველური აკმარეს.

იმდღროს“. გიგაწივით სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ოთარ ბახტაძე წარუდგინეს სტუმრებს, რომლებმაც მეორე დღისთვის დაიბარეს კონსერვატორიაში, სადაც მისაღები გა- მოცლები დიდი ხნის დამთავრებული იყო. ოთარი უგამოცდლოდ ჩარიცხეს კონსერვა- ტორიაში, პროფესორ ვასილ ხმალიძის კლასში. მასთან ერთად სწავლობდნენ: ზუ- რაბ ანჯაფარიძე, თენგიზ მუშუღიანი, ვლადიმერ კეკელია, მედეა ამირანაშვილი, გივი ტორიჯაძე, თინათინ მერკვილაძე, დუ- გლი შვანგირაძე, გულყო ქართველიშვილი, კომპოზიტორები ბიძინა კვერნაძე, იაკობ ბობოხიძე და სხვები.

კონსერვატორიაში გრიგოლ კილაძის ინიციატივით დაარსდა საოპერო სტუდია, სადაც, 1951 წელს დაიდა ზ. ფალიაშვი- ლის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. წამყვან პარტიებს ასრულებდნენ: ზ. ანჯაფარიძე – აბესალომი, გულყო ქართველიშვილი – ეთერი, ნოდარ ჯაფა- რიძე – მურმანი, თენგიზ მუშუღიანი – აბო მეფე, თინათინ მერკვილაძე – მარეხი, ოთარ ბახტაძე – თანდარუხი. სპე- ქტაკლმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. სპექტაკლს ესწრებოდნენ გერმანელი მუ- სიკოსები. როდესაც გრიგოლ კილაძემ პუ- ხსნა, რომ სპექტაკლის მონაწილეები მე- ორე-მესამე კურსის სტუდენტები იყვნენ, სტუმრებმა არ დაიჯერეს. – „ასეთი სპეტი, მსოფლიოს ნებისმიერი საოპერო თეატრე- ბის ძვირფასი შენაძენი იქნებაო“ – აღტა- ცებას ვერ ფარავდნენ სტუმრები.

ოთარ ბახტაძემ 1954 წელს წარჩინე- ბით დაამთავრა კონსერვატორია. ოპერის თეატრში ეწე მოხვდა რა- ტომლაც ბევრი ნიჭიერი მომღე- რალი. მათ შორის ოთარ ბახტა- ძეც. დიდმა ჯანო ბაგრატიონმა სა- ქართველოს სახელმწიფო სა- ესტრადო ანსამბლში მიიწვია სო- ლისტად ოთარ ბახტაძე, თინათინ მე- რკვილაძე და დიმი ხელაშვილი. 1955 წელს ოთარ ბახტაძეს იწვევენ მუსიკა- ლური კომედიის თეატრში ოფენბახის ოპე- რეტა „პერიკოლა“-ში, პიკილოს რჩული პარტიის შემსრულებლად. პერიკოლას მღე- როდა შესანიშნავი მსახიობი და მომღე- რალი ევგენია გურაშვილი. თეატრში ჩა- ირიცხნენ თინათინ მერკვილაძე და დიმი ხელაშვილი. თბილად მიიღეს ახალგა- ზრდები თეატრის ვეტერანებმა, ვახტანგ საღარაძემ, ელენე ჩოხელიმ, ნიკოლოზ მოსევილმა, მიხეილ ბერიაშვილმა, ტუ- რიკო ტურიაშვილმა, ნინო თულაშვილმა, შაქრო ოსეფაშვილმა, მარო ხოფერიამ, ვასო გურამიამ თავისი „ორმოცდაათ სა- კმზიანი ლობიოთი“ (ეს გამოთქმა უყვარ- და), მიმა მანშიშვილმა, ვარვარა იანვა- რაშვილმა, ქეთო კობახიძემ, ნინო ლაღი- ძემ და სხვებმა.

44 წლის განმავლობაში, ოთარ ბა- ხტაძეს, მუსიკალური კომედიის თეატრში ნათამაშები აქვს 94 მთავარი და სხვადა- სხვა ხასიათის როლები, მას თუ დადუ- მატებთ მარჯანიშვილის თეატრში ნათამა- შებ როლებს, ალბათ მათი რიცხვი 120- ს გადაჭარბებს. კარგ „სპორტულ ფორ- მაში“ მყოფი, უბრუნებელი ოთარ ბა- ხტაძე კვლავ გაახარებს თავის თავიანი- სმცემლებს მრავალი სახეების შექმნით. თეატრის გარდა ოთარ ბახტაძე ვოკალს ასწავლის შ. რუსთაველის სახელობის თე- ატრალურ ინსტიტუტში და შ. მილორა-

გაფითუხნალი მოგლარალი

სერზე მიბჯენილი დანები თავიანთ მსხვე- რპლს აიძულებდა დამორჩილებოდნენ ბრძანებას. გივი სავანელმა მორჩილად დაიწყო ტანი გახდა. შემინებულ ოთარს გაახსენდა, რომ ტანზე თეატრიდან ნა- თხოვარი შინელი ეცვა. მძარცველებს რომ გაატანოს, თეატრის ბუღალტერი- აში ისედაც მჭირი ხელფასიდან მის სა- ფასურს დაუკავებენ, თავის დაშვებულ, გაძალტყავებულ დისშვილებს რაღა მი- უტანოს გამოსაკვებად? უეცრად აენთო, დაავიწყდა შიში და მიხვდა მძარცვლი იარაღი და... გაბრაზებულმა, მის წინ მდგარ ერთ-ერთ მძარცველს კბლებში თავი „აჯახა“ და ძირს დასცა, მეორე მძარცველსაც მუშტი უთავაზა და შინე- ლაკაპიწებულმა სახლისაკენ მოუტრცხლა. მეორე ქუჩის (გოგოლის ქუჩა) კუთხეში მისი მძაკეები: „ხალიანი“ გუგა, თენგიზ ბოლქვაძე, მიშა მგალობლიშვილი, „აქა- რა“-შოთა ჭვლიძე სიბნელეში მასლა- ათობდნენ, შემინებული ოთარის დანა- ხვანზე მიხვდნენ საქმის ვითარებას და შემთხვევის ადგილისაკენ დაეშენენ. ადგი- ლზე მისულ ბიჭებს ტრუსების ამარა, ფეხშიშველი, სიცივისა და შიშისაგან აკა- ნვალებული გივი სავანელი დახვდათ, თავ- დამსხმელები ნამარცვი ნადავლით – გა- ქცეულან.

1946 წელს, მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა და ორკესტრის წევრებმა ჩამოაყალიბეს საფეხბურთო გუ- ნდი, რომელიც თბილისის პირველობაზე

რეკლიანი, შალვა ლამბაძემ, გრიგოლ კოსტავა, კაკო კვანტალიანი და სხვები. ერთ-ერთ სპექტაკლში, კერძოდ „ფა- მთაბერის ასულში“, პირტიტველა ახა- ლგაზრდა, ოთარ ბახტაძე თამაშობდა თეთრ წვერ-ულვაშიან. მოხუც მეწისქვი- ლეს, ბატონი შალვა ლამბაძემ, რომე- ლიც მარჯანიშვილის თეატრის დირე-



ოთარ ბახტაძის „ჩამოშვებით“ და რა- იკომის ინსტრუქტორის უარით აღფო- თებული ბატონი შალვა აყვირდა: – „როგორ, მე, შალვა ლამბაძემ, თე- ატრის დირექტორმა, საქართველოს უმა- ლესი საბჭოს დეპუტატმა, რეკომენდა- ცია მიეცეო პერსპექტიულ ახალგაზრდას პარტიაში მიღებაზე და თქვენ, წინა- ადმდეგი ხართ?“ – დაკრა მაგიდას ვეებერთელა მუშტი. – „ეგ საყვედური მე გამოუცხადე და დღესვე მოვუხსნი ბრძანებით“-ო. ასე გამოიყვანა „პახმე- ლაზე“ ბატონმა შალვამ ოთარ ბა- ხტაძე, კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებით.

ოთარ ბახტაძე ძალიან სერიოზული ახალგაზრდა იყო, იგი არჩეული იყო მარჯანიშვილის თეატრის კომპაგეშირის კომიტეტის მდივანად. პარტიის რაიო- მშიც მოსწონდათ სერიოზული ახალგა- ზრდა და გადაწყვიტეს მისი კომუნი- სტური პარტიის რიგებში მიღება. რა- იკომიდან თეატრში მისულ ინსტრუქტორს ვილაძემ „ჩაუკარგა“ გუშინდელი ინცი- ნდენტის შესახებ. ინსტრუქტორმა ფე- ხები გაასავსა და ბახტაძეს პარტიაში მიღებაზე უარი უთხრა.

ოთარ ბახტაძის „ჩამოშვებით“ და რა- იკომის ინსტრუქტორის უარით აღფო- თებული ბატონი შალვა აყვირდა: – „როგორ, მე, შალვა ლამბაძემ, თე- ატრის დირექტორმა, საქართველოს უმა- ლესი საბჭოს დეპუტატმა, რეკომენდა- ცია მიეცეო პერსპექტიულ ახალგაზრდას პარტიაში მიღებაზე და თქვენ, წინა- ადმდეგი ხართ?“ – დაკრა მაგიდას ვეებერთელა მუშტი. – „ეგ საყვედური მე გამოუცხადე და დღესვე მოვუხსნი ბრძანებით“-ო. ასე გამოიყვანა „პახმე- ლაზე“ ბატონმა შალვამ ოთარ ბა- ხტაძე, კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებით.

ოთარ ბახტაძეს მარჯანიშვილის თე- ატრში დადგმულ თითქმის ყველა სპე- ქტაკლში ამღერებდნენ: „რომეო და ჯუ- ლიეტაში“, ქორწილის სცენის დროს ოთარი ორკესტრთან ერთად მღეროდა საკმაოდ რთულ პარტიას. სპექტაკლს



ელოდნენ ბიჭები ჩემს გამოჩენას სცე- ნაზე. აჰა... ბოლო მოქმედების დასა- სრულს შემოვედარი სცენაზე და... „მო- დიან“ – ვიღრიალე, და გავსხლტი კუ- ლისებში. „დაინგრა დარბაზი“ ტანით, მაგრამ „ბისზე“ არ გამოვედი“. – სიცი- ლით იხსენებს ბატონი ოთარი.

მონაწილეობდა და 1947 წელს სპორტსა- ზოგადოება „დინამო-2“-ის შემდეგ მე- ორე საპატიო ადგილი დაიკავა. გუნდში თამაშობდნენ: ოთარ ბახტაძე (კაპიტანი), მკეარე-კოტე ბოჭორიშვილი, ნოდარ ჩუ- ბინიძე, ნოდარ ცინცაძე, ოთარაშვილი, „ბაბკეა“, „შურიკა“, „ამაზო“, ოთარ მკა- ლბლიშვილი, გივი სავანელი, გარმონზე დაბეჭდილი – ტყაბლაძე, ავიო ვერულე- იშვილი, დროგაშვილები თეთრი კობაზი- ძეც ერთვებოდა ახალგაზრდებში და სა- კმაო ოსტატობითაც თამაშობდა. ოთარ ბახტაძე პარალელურად საქართველოს პი- რველობაზეც თამაშობდა, ახლად შექ-



კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფეხბურთელთა გუნდი, 1947 წ.

ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი გრიგოლ კი- ლაძე და პროფესორი ვასილ ხმალიაძე, როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი თე- ატრში ოთარ ბახტაძის ხნის მოსამსე- ნად მისულან, თბილისის ოპერის სო- ლისტის, მომღერალ შალვა თაბუკაშვი- ლის რეკომენდაციით, რომელსაც შე- მთხვევით მოუხსენია ბახტაძისათვის და მათთვის უთხოვია: – „ასეთი ხნის პა- ტრონი მოსდევს დრამატულ თეატრში დარჩეს ცხოვრობდ, მაგან ოპერაში უნდა

ვას სახელობის ცირკისა და ესტრადის სასწავლებელში. ოთარის შეილიშვილები ოთარი და მიმიკო წარმატებით აგრძელებენ ბაბუას საფეხბურთო კარიერას, ხოლო პატარა თინიკო, რომელსაც ლამაზი ტემპრის ხმა აქვს, იქნებ მან მაინც აისურლოს ოთარ ბახტაძისა და საქართველოს სახალხო არტისტის თინათინ მერკვილაძის ოცნება და იმდღროს დიდ საოპერო თეატრებში. დემეტრე გვისმინოს.

ფანიტა შაქვა

„სოლიყო ვირსალაძემ შექმნა მთელი ეპოქა ქართული სცენა კოსტუმისა, რომლის კვალიდ დღეს ბევრი ანსამბლი იძისება“

ნინო რამიშვილი


ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრება მდიდარია სასიამოვნო ფაქტებით. რამდენიმე ხნის წინ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში დაიდგა იური გრიგორიძის მიერ პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახალხო მხატვრის სოლიყო ვირსალაძის დაბადებიდან 90 წლისთავს. სპექტაკლი რამდენიმე დღის განმავლობაში, ანშლაგით მიდიოდა. სპექტაკლის წარმატების მიზეზი ქორეოგრაფისა და მხატვრის ურთიერთშეწყობაში უნდა ვეძებოთ.

აზრობრივი გაგრძელება იყო ამავდროულად თეატრში გამართული ილიკე სუნიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის კონცერტი-მუზეუმი, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ანსამბლის მხატვრულ მხარეზე, ეს იყო გამოფენა უდიდესი ნიჭისა, უზადო ფანტაზიისა და არაჩვეულებრივი გემოვნებისა. კონცერტის დაწყებისას მსაყრეზლის თვალსაწიერში ხვდება მხატვრობა. ორმოცდაათი წელია მაყურებელში აღფრთოვანებას იწვევს სოლიყო ვირსალაძის მაღალი მგრძობელობა, რომელიც

უკავშირდება მოძრაობას; მელოდიას და ფერს, რაც ქმნის აბსოლუტურ მხატვრულ ტილოს.

სოლიყო ვირსალაძის მიერ მოტანილ ფერებს მონახული აქვს თავისი ადგილი. ვერცხლის, ოქროს, ყავისფერი, იასამნისფერი — ყოველი ფერი მეტყველია. მთავარი ის არის, რომ ცეკვასთან ერთად ფერთა გამა გადმოგვცემს ცეკვის შინაარსს, ხელს უწყობს ცეკვის კომპოზიციის გახსნას და ლოგიკურ წყობას, თემატიკის სიღრმეს. აქ ერთმანეთს კვეთს ფერისა და მოძრაობის პლასტიკა, ტემპორიტმი. მაყურებელი თვითმხილველი ხდება არა მარტო ცალკე ცეკვისა, არამედ ფერთა ცეკვისაც. იშვიათია მხატვარი, რომელიც ასე ფაქიზად გრძობდეს, ზუსტად შედავდეს სხეულის შინაგან განწყობილებას, უსადაგებდეს ფერის მელოდიას. ყველა ფერი ცალკეულად მოგაგონებთ კლასიკურ ნაწარმოებს. მის მიერ შექმნილი ესკიზებია: „აჭარული“, „სიმდი“, „მთიულური“, „ჯეირანი“, „აფხაზური“, „ლელო“, „ცეკვა წყაროსთან“, „ყაზბეგური“, „სადაზრბაზო“, „სამაია“.

მხატვრის მიერ მოცემული ფერები არსად არ მეორდება, სულ სხვადასხვა კუთხით არის წარმოჩენილი, რაც ქმნის უდი-



დეს შთაბეჭდილებას. რაში ძვეს მხატვრის ფერთა საიდუმლო — მის დახვეწილ წარმოსახვაში. კონცერტის რეპერტუარში შეტანილი იყო აზერბაიჯანული და სომხური ცეკვა. აზერბაიჯანული ცეკვის საბალეტო კოსტუმში ყურადღებას იქცევს შავი და თეთრი ფერების ორიგინალური გადაწყვეტა. აღსანიშნავია სოლო საბალეტო კოსტუმი — მუქი მოყვითალო ფერი გადადის ასეილის ფერში, რაც მიმზიდველ იერს იძლევა.

„სამაიას“ სამოსელი ვიწრო, სწორხაზოვანი, მთელ სიგრძეზე ჩადგმული, ძვირფასი ქვებით მოჭედილი გულისპირი. ნაცრისფერნარევი იისფერი, მონაცრისფრო ცისფერი და ნაცრისფერგარეული სპილენძის ფერია. მუქი ფერი ღიავდება და ქსოვილზე მკვეთრად არის გამოსახული ქსოვილის ასეთი აგებულება მდიდრულ იერს სძენს სამოსელს. გულისპირში ჩაყოლებული აქვს სხვადასხვა ზომის მარგალიტის მივი. მხატვარი კაბის ფერის მსგავსად ზემო ნაწილიდან საღებავით უკეთებს ტონს. ძვირფასი ქვებით მოჭედილი, აქა-იქ ჩადგმული სხვადასხვა ფერის ხავერდის პატარა ნაჭრები. ღომი მსახიობ-მოცეკვავეს მოკეცილ ხელზე აქვს გადაკიდებული — ბიზანტიის სამეფოს აუცილებელი კომპონენტი. ასევე ძვირფასი ქვებით გაწყობილი

გვირგვინი ამშვენებთ. მოცეკვავის სხეულს ამშვენებს მეფური სამოსი მედიდური გამოხედვით.

მხატვრის მიერ შერჩეული ფერები არის ცეკვისა და მოცეკვავის სულის მამოძრავებელი ძალა. კოსტუმი ხელს უწყობს მსახიობ-მოცეკვავეს სახის შტრიხების გამომჟღავნებაში, ცეკვის არსის გააზრებაში.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი სოლიყო ამბობს: „ამ ანსამბლთან თანამშრომლობა მართლა ჩემი დიდი სიყვარული და გატაცებაა. ეს, წლების მანძილზე სამშობლოსგან მოშორებით მცხოვრებს, მეტად მასხლოვებს საქართველოსთან, ყოველივე ქართულთან. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვმუშაობ მათთვის. ეფექტის მიღწევაში თვი-



თონ ქართული ცეკვა მესმარება. უწინარესად, მთელ ცეკვას ვხედავ, როდესაც კოსტიუმებისათვის ფერებს ვარჩევ, აქ, რა თქმა უნდა, თავი და თავია ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ეროვნული ფერები. მათი შერჩევას მთავარია, რა ცეკვაა, როგორია მუსიკა. აღარც კი მახსოვს, რამდენი წელიწადია ქალბატონ ნინოს ვიცნობ — იგი ბავშვობიდან ჩემს დასთან მეგობრობდა და დღემდე მაოცებს მისი ეს გადამდები ხალისი, უმრუტი ენე-

რგია და შემართება, ესე [ქვეყნული] რველად რომ ხარჯავს, თანაც რა სასიყვეთოდ ისარჯება, რა ლამაზად გამოხატავს თავის სიყვარულს მშობლიური საქართველოსადმი; თავისი შემოქმედებით როგორ აღვივებს ამ გრძობას თითოეულ ჩვენგანში! ვამაყობ, რომ იმ დიდ პოპულარობაში, რაც მისმა ანსამბლმა მოუტანა ჩვენს კულტურას მთელს მსოფლიოში, მეც მიღვეს მცირე წვლილი.

ასეთ შეფასებაში მოჩანს უპირველესი თვისება დიდი ხელოვანისა — მოკრძალება საკუთარი თავის მიმართ. დიდი ხელოვანი ყოველთვის სიმცირეში ხედავს სიღიადეს.

სალამოს ამალელებელი ნოტა ახლდა — ცეკვიდან გაცილებს მოცეკვავენი: გულნარა სისარულიძე, თამარ ცაგარეიშვილი, ომარ ხურციძე, გიორგი გველეხიანი, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე სიბლს მატებდნენ ანსამბლს პროფესიული ოსტა-



შარშან, „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1998წ. 18-19.X) გამოქვეყნდა პროფესორ იგორ ბოგომოლოვის ფრიად საინტერესო სტატია „პუშკინის ნათესავები საქართველოში“ — დიდი რუსი პოეტის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით. როგორც დასაწყისში აღნიშნავს ავტორი, ამ თემაზე მუშაობის დროს, იგი არაერთხელ დაბრუნებია ერთ დოკუმენტს. კერძოდ კი პოეტის დედის ნადეჟდა ოსიპის ასულ პუშკინას (ქალწულობაში განიბალი) წერილს ქალიშვილის — ოლღასადმი, რომელშიც ასწენებს თავად დადიანს, ვისთვისაც 1829 წელს საქართველოდან პეტერბურგში წერილი გაუტანებია დედასთან ალექსანდრე პუშკინს.

რამ დაინტერესა გამოჩენილი მეცნიერი?

„... გახსოვს დედამისი, ჩვენი კუზინა, როგორ უყვარდი პატარა რომ იყავი, მაგრამ რაც გათხოვდა და საქართველოში გაემგზავრა, წერილი აღარ მოუწერია.“

სტატიაში ბატონი იგორ ბოგომოლოვი პუშკინის მეორე ნათესავ ქალსაც ასწენებს გვარად ანიბალს, რომლის საფლავის ქვისთვისაც დუშეთში, ძველ ნაკელე სიარზე მიუკვლევიათ.

ყოველივე ამან მეც ძალიან დაინტერესა და გამახსენა ერთი ამბავი, რაც შეიძლება ასევე სა-

ყოვადღებო აღმოჩნდეს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის.

მე გამოჩენილი ქართველი მხატვრის, იშვიათი პორტრეტისტის ქეთევან მაღალაშვილის ხშირი სტუმარი ვიყავი. მაგონდება მისი სიცოცხლის ბოლო ხანს, 70-იანი წლების დასაწყისში დასაბუთი პო-



გახლდათ ქეთევან მაღალაშვილის დაყოლიება — მას თავად უყვარდა არჩევანი, თუ ვინ იქნებოდა მისი ფუნჯით უკვდავოფის ღირსი —

ისევ გუშაჰინის სახანოვსაოღო

რტრეტები — კუნძულ ტექსელის გმირი ქალის — დედა კორნელიასი, პოეტ ანა კალანდაძის, ბალეტ-მისტიკური იური გრიგორიძის, ექიმების ჭანა სვანიშვილისა და ეთერ სიჭინავასი (მხატვარ-დეკორატორ ფარნაოზ ლაპიაშვილის მეუღლის). და ორი ახალგაზრდისა, ერთი იყო გია რიგვაჟასი და მეორის შესახებ კი მიაბზო, რომ იგი ყოფილა პუშკინის შთამომავალი დედის მხრიდან — გვარად სვანიძე, სახელი? — ანდრია ჰქვია. თავისი ფეხით მოვიდა, გამეცნო, ისე გამოცა ამ ამბავმა, სიამოვნებით დავხატეო.

ამას მეექვსე გრძობა კარნახობდა ხელოვანს.

ანდრია სვანიძემ, სტუდენტმა ფიზიკოსმა თავისი ბიოგრაფიით „მონისკიდა“ მხატვარი, რომელმაც მა-

სში მისი შორეული წინაპრის სიჭაბუკეც დაინახა. ეს პორტრეტი ტილოზე ზეთშია შესრულებული (90/70) 1972 წელს და თითქმის მხატვრის უკანასკნელი ქმნილებაა. 1973 წელს საქართველოს სახალხო მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის უკანასკნელი

პერსონალურ გამოფენაზეც იყო მოსვლილი.

დავინტერესდი, თუ სად ინახება ამჟამად. დღეს ეს პორტრეტი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაშია.

მამინ უბის წიგნაკში ჩამიწერია ორი ტელეფონის ნომერი ერთი ანდროსი, მეორე გრიგოლ ხარიტონის ძე სვანიძისა, — არ მახსოვს კი გრიგოლი ძმა იყო, თუ მამა ანდრია — ...99-63-56 — ეს გრიგოლ სვანიძის ბნის ტელეფონია — დაგრეკო თუ არა? — მას აქეთ სომ დიდი დრო გვიდა...



...რიდით, მოკრძალებით დავერეკე და არ გამიმართლა, იქნებ ამ სტატის დაბეჭდვის შემდგომ მაინც გამოგვემართოს ვინმე.

ბატონი იგორ ბოგომოლოვი თვლის, რომ ალექსანდრე ლევაინის ძე დადიანი (1801-1865), პრეობრაჟენკის პოლკის შტაბს — კაპიტანი და შემდგომ კავკასიის მთავარმართებლის ი.ფ. პასკევიჩის ადოუტანტი, ერევნის კარაბაგერთა პოლკის მეთაური, საქართველოში მცხოვრები ერთადერთი ნათესავი როდი იქნებოდაო და ამის ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს სწორედ დუშეთში შემორჩენილი საფლავის ქვის წარწერა: „აქ განისვენებს მე-8 კლასის ჩინოვნიკის მეუღლის ნატალია ანიბალის ცხედარი, რომელიც წითელი ქარისაგან გარდაიცვალა დაბადებიდან 32 წლისა“ წარწერა დათარიღებულია 1836 წლის დეკემბრის თვით.

...იქნებ ანდრია სვანიძის წინაპრები რომელიმე ამ საგვარეულო შტოს ეკუთვნოდნენ?! ქეთევან მაღალაშვილისეულ პორტრეტში პუშკინთან მსგავსებასაც დაიჭერს უთუოდ დაკვირვებელი თვალი...

ნანა ლომიძემ, პოეტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენის კავალერი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1999 წ. 2 ივლისი.

РАДЖ КАПУР В ТБИЛИСИ

В те далекие 50 годы на экраны страны вышел индийский фильм "Бродяга", в главной роли Радж Капур. В Тбилиси фильм был воспринят с большим восторгом, Радж Капура полюбили все, он стал для нас иколом, тем более, что название песни: "Авара я..." на грузинском и индийском языках имеют одно и тоже звучание и значение. Популярность артиста была так велика, что ГОКС - Грузинское общество по культурным связям с заграницей (сейчас там посольство США) пригласило Радж Капура и других индийских артистов посетить Грузию. Встреча была помпезной. Тбилиси умеет встречать триумфаторов. Когда Радж Капур и Рита ехали по городу в открытом автомобиле, их встречали улыбками и цветами, а также песней "Авара - Я". Я расскажу о двух случаях, связанных с пребыванием Радж Капура в Тбилиси. Первым делом они попросили их отвезти в Гори, чтобы посетить дом музей И.В. Сталина. Одна теннисистка работала в ГОКСе и мне удалось попасть в состав сопровождающих. Надо сказать, что побывать лишней раз в Гори, в доме-музее, тем более, что моя бабушка Нина Георгиевна Тиникашвили была учительницей у Сталина в горьской духовной семинарии. Когда гости из Индии



стали подниматься по ступеням, Радж Капур остановился. Остановились и остальные. И вдруг вся индийская делегация сняла обувь и босиком вошли в дом-музей И.В. Сталина. Все были поражены, и в смутении. После осмотра дома они побывали в разных местах Гори, а затем вернулись в Тбилиси. Ведь на другой день у них была назначена встреча со зрителями, которые снетерпением ее ждали.

Встреча со зрителями была назначена в кинотеатре "Ударник" на Плехановской, тот самый, который, был гордостью Тбилиси, но вот в 30-х годах подлая рука подожгла его в ночь под воскресенье и все художественные росписи итальянских мастеров, фрески на стенах и потолок сгорели. Люди стояли в это утро и плакали... Попасть на эту встречу было почти невозможно.

И мы несколько ребят с Плехановской стали думать, как нам попасть? И вот что я придумал... Через час 12 ребят в возрасте 12-14 лет умытые, причесанные, в белых рубашках, галстук бабочкой (у нас дома их было много) с букетом роз были готовы. "Разведчик" посланный нами вернувшись сказал, что подступы к кинотеатру перекрыли 5 рядов милиционеров. В 19.30 двенадцать ребят, и мы трое взрослых ребят вывернули с Кирочной (Марджанишвили) на Плехановскую затылок в затылок и по центру улицы пошли навстречу стражам порядка. Все 5 рядов расступились и мы беспрепятственно подошли к кинотеатру. А в это время приехали Радж Капур и другие киноартисты. "Команда" по нашим знакам бросилась вручать цветы артистам, а я вручил свой букет Рите. Капур через переводчицу благодарил всех, пожмая наши руки с улыбкой. Он сказал: это так трогательно, так прекрасно... Мы вошли все вместе в кинотеатр не имея пригласительных билетов и растворились в этой толпе и сутолоке. Но зато вечером, гуляя по Плехановской, мы были в центре внимания среди наших многочисленных друзей, знакомых. На то мы и Плехановские!...

У НАС ТОЖЕ ЕСТЬ "БРОДЯГА"

Другой случай имел самое непосредственное отношение к Радж Капуру, когда гуляя по проспекту Руставели, зашел в павильон, чтобы выпить стакан - другой знаменитых вод Лагидзе. Там-то в небольшой толчее знаменитый карманник под кличкой "Чердак" ловко вытащил у него из бокового кармана жилета карманные часы. Радж очень сожалел об этом. Это были часы его деда. К вечеру чуть ли не полгорода знали об этом, возмущались, ругая и угрожая тому, кто это сделал. Но вечером, когда зажглись огни большого города произошло следующее. Надо сказать, что каждый вечер перед балконом гостиницы, где жили индийские гости собиралась большая толпа, скандирующие: Радж Капур, Радж Капур, Радж Капур... Он выходил на балкон, приветствовал всех посылая воздушные поцелуи. Так было и на этот раз. Вдруг сквозь толпу пробрался шикарно одетый молодой человек. Мы всегдатаи Плехановской и Руставели узнали его, он бросил вверх веревку с грузом. Радж ловко поймал его и по знаку молодого человека стал тянуть ее вверх, а на конце была большая коробка, чуть больше коробки из под обуви, перевязанная цветными шелковыми ленточками.



Радж Капур открыл коробку и вынул свернутый рудонем лист бумаги, а из небольшой коробки, лежащей там вытащил... свои часы с цепочкой. Когда развернули плакат, который мы все увидели, то там крупно было выведено несколько слов: "У нас тоже есть "Бродяга" (чердак). Когда Раджу перевели написанное на плакате, он, держа над головой свои семейные часы с цепочкой стал вдруг танцевать, а потом запел "Авара - я м-м-м..." Он радовался как ребенок, а его голос подхваченный стоящей толпой разносился по вечернему, залитому электричеством проспекту Руставели. Остановились машины и сидящие в машине тоже пели: "Авара - я м-м-м..." и никто не сетовал на пробку, ибо пел сам Радж Капур!

ОЛЕГ ТИНИКАШВИЛИ



Памятник Михаилу Воронцову.

ЭТО БЫЛО НЕДАВНО, ЭТО БЫЛО ДАВНО...

называлась тоже "Тифлис", но в 1862 году по просьбе колонистов, она вошла в состав города и стала пользоваться всеми городскими правами. Забегая вперед, скажу, что недалеко от Кирхи, (бывшая Лютеранская церковь (естественно, на Михайловской) жил врач высочайшей квалификации по фамилии герр Майер. Он следил за мной с пеленок, так как я был искусственно вскормлен. А молоко моя дорогая мама покупала у немцев, которые имели небольшую ферму на месте теперешнего кинотеатра (Комсомолец) "Дарбази". Молоко было отменное и я бутуз, родившийся весом 14 фунтов (5 кг 600 гр) пил его с удовольствием. Фамилия этих удивительных людей была Зикарт. А дальше была кондитерская Гейне, где каждый час выпекались свежие пирожные. Я много поездил, но таких вкусных пирожных нигде не ел, так-же как и потом лимонад "настоящий Лагидзе".

На Михайловской, недалеко от Кирхи, (бывшая Лютеранская церковь) был очень престижный в мое время немецкий детский сад, куда я ходил три года, а затем... меня отдали в русскую 41 школу на Камо. Многие, очень многие в том числе и сын Л. Берия Сергунчик учился в 100-ой немецкой школе. Туда устроиться было очень трудно. Но мода есть мода, вообще тбилисцы, особенно "плехановцы" были большими фантазерами. Дисциплина в школе была идеальная. Я жил напротив этой школы и могу это засвидетельствовать под присягой. Нес-

колько слов о гостинице Ветцель под названием "Европа". Она была построена давно и действовала в советские времена. Это единственное здание так впечатляет, что пройти мимо просто нельзя. В Тбилиси больше нет такого второго здания. Две скульптуры поддерживают это здание на своих плечах, вот только жаль, что министерство юстиции, переселившись оттуда на Руставели, прихватили с собой стацию из бронзы и установили там при входе. Статуя там ни к селу, ни к городу и мы считаем, что ее надо вернуть на место, как часть исторического памятника. Забегая вперед, хочу сказать, что в послевоенные годы на Плехановской с весны до глубокой осени функционировали 11 зимних и летних кинотеатров, концерты были в двух садах - Сад дома офицеров и знаменитый Гофилект, театр юного зрителя и театр сангигиены, музко-

таким количеством увеселительных заведений на одной, похожей на Плехановскую улице. Нет такой улицы и такого города на карте СССР. Ибо "Плехановская" неповторима.

Знаменитый кинотеатр "Аполло" тоже построен с помощью немцев, которые платили за ей постройку. Если я не ошибаюсь, там фигурировала фамилия Гегеле. Ну, а Кирха, - это сооружение искусства в Готическом стиле с высочайшими потолками и цветными стеклами и белой цинковой черепицей из редкого по тем временам кирпича, а дубовые скамейки для прихожан из темного моренного дуба были очень тяжелыми. Французский путешественник писал: Михайловский проспект - одна из красивейших улиц Тифлиса, особенно в последнее время, когда на ней выстроены трех и четырех-этажные, красивой архитектуры дома. Они и сейчас живы со старинными летними головками женщин и мужчин, барельефами и т. д. На Михайловской было много зелени, а линии тротуаров были засажены деревьями. Около сада Муштаид растут громадные великолепные тополя.

Недалеко от Муштаида расположено несколько увеселительных садов, где летом по вечерам играли хоры военной музыки.

На Михайловской (Плехановской) находятся летние помещения всех местных клубов. Вообще летом эта улица всегда оживлена и на ней по вечерам собирались чуть ли не весь город. Так было и в 30-40-50-60-е



медия, теннисные корты и велотрек - такие домашние, что из соседних домов можно было видеть и теннисистов и велосипедистов. А сад "Арто" в основном был для детей и он закрылся, когда включалось электричество.

Назовите мне хоть один город с



Грузинка в национальном костюме. 1820 г.

годы нашего XX века. Все это было, а что мы видим сейчас?

Парк Горького в запустении, сад дома офицеров превратили неизвестно во что, летний кинотеатр "Комсомолец" ныне "Дарбази" застроили зданиями, красавец Гофилект стал застройкой коммерческими заведениями, летний кинотеатр "Ударник" просто перепахали, кинотеатр "Аполло" влетел жалкое существование, а тот знаменитый трехметровый гриб исчез и сейчас там совсем маленький.

И, заканчивая эти воспоминания, хочется крикнуть во весь голос словами Вл. Висоцкого: "Эх, ребята, все не так, все не так, как надо..."

ОЛЕГ ТИНИКАШВИЛИ



ქართული ნეალებურის პიონერი

არიან ადამიანები, რომელთა მოკრძალებული შრომით, დიდი, ეროვნული საქმეები კეთდება. ასეთი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, საქართველოს წყლის სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი, „მეფეთუნელი“ ვლადიმერ გოიაშვილი, სპორტის ოსტატი, შესანიშნავი მეკარე, სპორტის დამსახურებული მუშაკი, პატრიოტი და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი. გოიაშვილი ის ავადსენიებული 1991-95 წლების მოვლენები, როდესაც იძარცვებოდა და იყიდებოდა საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები, სპორტული ნაგებობები, ჩაკვდა ქვეყანაში სპორტული ცხოვრება. ასეთ პირობებში, ერთი დღითაც არ შეუწყვეტია მუშაობა „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსს, ვლადიმერ გოიაშვილისა და მისი კოლეგების თავდადებით.

ვლადიმერ გოიაშვილის უტყუარმა ხასიათმა, ვაჟკაცობამ, სიმტკიცემ, მკაცრმა დისციპლინამ შეატყუა და გამოაწოთო მთელი კოლეგები, რითაც შეინარჩუნეს საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური, საჩვენებელი სპორტული ნაგებობა.

ბატონი ვლადიმერი (გოვა) დაიბადა და გაიზარდა თბილისში, სვანეთის უბანში „მეფეთუნის“ ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩაზე, რომელსაც ართვინის ქუჩა ეწოდება — დღესაც. საამაყოა, როდესაც კაცზე იტყვიან — ქუჩაში გაიზარდაო, მეც და ჩემი პლუდის ბიჭები ვამაყობთ, რომ ქუჩაში გაიზარდეთ და ქუჩის „აკადემია“ გამოვლილები ვართ. „ქუჩაში“ გაიზარდა ვოვაც.

ერთხელ, ქალაქ თბილისის კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, შესანიშნავმა ვაჟკაცმა, აწ გარდაცვლილმა ჯემალ ჭკუასულმა მითხრა: — „ჯემალ, მე, შენ, ქუჩიდან გიცნობ და ვიცი არ მილატებო“.

— „როგორც კი განაფხულდებოდა და ოდნავ დათბებოდა, — იგონებს ბატონი ვლადიმერი, — უბნის ბიჭები ფეხით ჩავდიოდით პლუტანოვზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან და ბორანიტ გადავდიოდით მტკვარგაღმა ნაპირზე, მდინარე ვერესა და მტკვრის შესართავთან, სადაც პატარ-პატარა

კუნძულები იყო ტირიფის ხეებით დაფარული, ეს იყო ჩვენი „პლაჟები“, ვცურავდით, მზზე „ვისუხებოდით“, საქმეებს „ვარჩევდით“, ვჩხუბობდით, „ყომარსაც“ ვაგორებდით. მოკლედ, კარგ დროს ვატარებდით.

ჩხუბის „კარგად შესწავლის“ მიზნით კრივზე დავიწყე სიარული, რომელიც იქვე, ღია საცურაო აუზის გვერდით იყო აგებული. ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ გივი მუხაძე, შემდგომში ცნობილი მოკრივე, ქორუგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, გივი ქართველიშვილი, ედუარდ სტეპანოვი და სხვები. ვარჯიშის შემდეგ, საცურაო აუზის ღობეზე გადავდებოდით და ვცურავდით. მაგრამ, ეს „ნეტარება“ ძალზე ხანმოკლე იყო, აუზის თანამშრომლებს „ზაირიები“, ე.ი. შემოპარულები ყურებით ამოგყავდით, იქვე ედგათ მზუთით სავე ვედროები და დიდი ფუნჯით, თავზე „პატივისცემის“ ნიშნად ჯვრებს გვასატავდნენ, შემდეგ, „ლამაზი“ ჭიტლაყით სასლებში გვისტუმრებდნენ. ამის გამო, იძულებული ვიყავით თავი გადაგვეპარსა, თავტივლები მაინც ვიპარებოდით აუზში საცურაოდ. რა თქმა უნდა, სასლში, თავზე მამუთწამულები ვბრუნდებოდით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც „ძველ“ ნაცნობებს „ჭიტლაყით“ აღარ გვასაჩუქრებდნენ და თავზე ჯვრის „ზომებიც“ მცირდებოდა.

კრივის დარბაზი მეორე სართულზე იყო და მისი ფანჯრებიდან კარგად ჩანდნენ ჩაყუნთული, მზით გარუჯული მოცურავეები, წყალში მსტომელები. კრივში, მეორე სპორტული თანრიგი მქონდა, ქალაქის ჩემპიონიც ვიყავი. კრივში ცხვირ-პირის მტკრევას, მზის ქვეშ მოლივლივე წყალში ცურვა ვამჯობინე და... ღობეზე გადაძრომის ნაცვლად, აუზში შე-



ვლადიმერ გოიაშვილი

სასვლელ კარებზე თამამად დავაკაუნე.

ასე მოხვდი ცურვის სექციამი ჩემს „ნაცნობ მალიართან“, ბატონ გოგი დათაძესთან, რომელმაც ძველი ძმაკაცის მიმილო და დავიწყე ინტენსიური წვრთნა. აქაც კარგი შედეგები მქონდა. ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ მერაბ მგელაძე, პროფესორი სერგო კეკელია, ცნობილი მთასვლელი თემო კუხიანიძე, გეიდარ ფალავანდიშვილი, ზვიად გამსახურდია და სხვები. მოუხვენარი, დაუდევარი ხასიათის გამო, აღარ მომწონდა მონოტონური, კედლიდან-კედლამდე ცურვა და იქვე, გადავდიე წყალში ურთულე, ბატონ ლუკა იოკამილისთან. ჩემმა მწვრთნელმა გოგი დათაძემ ეს რომ ნაყოფი იყვინა: — „მოლატე... მოლატე... და „ხუთსართულიანი“ გინებით „შემამყო“.

წყალბურთში მიღწევები მალე მოვიდა, ქალაქში ყველამ გაგვიცნო. 1951 წელს, 16 წლის ბიჭები, რვა ქალაქის ტურნირზე კივში გავემგზავრეთ მატარებლით. ჩვენ, პირველი ვაგონით ვმგზავრობდით ორთქლმავლის უკან გამომბოლები. კივში ჩასულები, მასპინძლებს არაბები ვგონეთ, ისე ვიყავით პირსახეტანსაცმლიანად გაშავებულები. ორი დღე გვტყავდნენ და გვეცხვებდნენ მასპინძლები და ძლივს მოგვიყვანეს ჩვენს ფერზე. მეშვიდე ადგილი დავიყავით ამ ტურნირზე, გამოუცდელივით, მატარებლით მგზავრობამ იმოქმედა ჩვენს სპორტულ შედეგებზე.

თბილისში ჩამოსვლები ახალი ენერგიით შევუდექით წვრთნას. დახარჯულ ენერგიას აღდგენა სჭირდებოდა, რასაც კარგი კვება უნდოდა. უჭირდათ მწვრთნელებს და გვიჭირდა ჩვენც. მთელი დღე აუზზე ვიყავით და ვებმარებოდით მწვრთნელებს. სასლიდან, გახეთში გახვეული საჭმელი მოგვექონდა და მწვრთნელებთან ერთად კუჭს ვინაყრებდით.

მთელი ბავშვობა „არტოს“ ბაღში ვატარებ. აქ, 15 მეტრიან საცურაო აუზში ქალაქის ჩემპიონობა მოვიპოვე — ცურვაში, ვაჯობე ერთ დიდებულ ბიჭს. აუზიდან, გამარჯვებულსა და გახარებულს, იმ ბიჭის ხუთი ძმაკაცი დამხვდა და ლამათიანად „მეუქეს“. მეორე დღეს, ჩემი „შანტრაბით“ „აბაროტი“ ავუღეთ. მერე დავმეგობრდით და დღესაც გრძელდება ჩვენი მეგობრობა. „არტოს“ ბაღში მწვრთნელებად მუშაობდნენ ცნობილი მოცურავეები: ხანევ შაიდულოვი და თქვია ნეგეფტიდი.

ბატონი ვლადიმერი გულისტკივილს ვერ მალავს, როდესაც იხსენებს, ოდესღაც, მთელ საქართველოში ერთადერთ ზამთრის დასურულ საცურაო აუზს, რომელიც

დღეს ფუნქციონირებს და ქუჩა ქუჩა ქმედოდა. ამის გამო, წყალში მსტომელებს, საშუალება არა აქვთ მთელი წელი ინტენსიური წვრთნისათვის, საცურაო აუზის უქონლობის გამო ძალიან უჭირთ ამ სახეობაზე ფანატურად შეყვარებულ მამა-შვილ საშა და ირაკლი ბართაიებს, რომლის მოწაფეები მაინც არჩენებენ მაღალ შედეგებს საერთაშორისო შეჯიბრებებში. როცა მათი უცხოელი კოლეგები გაიგებენ, რომ ბართაიები, თავის შეგირდებს, წყალში ხტომამში, სპორტულ დარბაზში, პარკეტის იატაკზე წვრთნიან, ყურებს არ უჯერებენ. ზაფხულობით, ბატონი ვლადიმერი, „ლაგუნა-ვერეს“ აუზში უთმობს ფანატურის მამა-შვილის ბართაიების შეგირდებს საათებს და ძალიან ეხმარება მათ ამ სახეობის განვითარებაში.

ქართული წყალბურთის ვეტერანი ვლადიმერ გოიაშვილი აღიზარდა ისეთი კორიფების გვერდით, როგორც არიან: მსოფლიო წყალბურთის ვარსკვლავი, „მეფეთუნელი“ პეტრე (კაკი) მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია, როსტომ და ზორიკა ჩაჩავები, უორა ხარეზოვი, მათი წინამორბედები: კარლო იოვანი, ლიოვა კრილოვი, ხანეფი შაიდულოვი და სხვები. ვოვასთან ერთად თამაშობდნენ, წყალბურთელები: კოტე ავანესიანი-ჭიჭინაძე, რეზო გუგუშვილი, გიორგი დარახველიძე („მეფეთუნელი“), „პესკილები“: ვლადიმერ ბართაივი და კოტე პოტაპოვი, ბორის მეგელი, ვალენტინ ჩერნიშოვი, ირაკლი ჩხვიცაძე, ოთარის („დულულა“) მიმინიშვილი და სხვები.

უყვარს თავისი დედაქალაქი, ქვეყანა, უბანი, სადაც გაიზარდა, „არტოს“ ბაღი ვლადიმერ გოიაშვილს, ქართული სპორტის დიდებულ მოღვაწეს და მოამაგეს. ჯან-ღონით აღსავსე ვაჟკაცი დღესაც წარმატებით უძღვება საწყლოსნო სახეობის განვითარებას — საქართველოში. გვიმრავლოს უფალმა ასეთი პატრიოტები ჩვენს ქვეყანაში.

სპორტის ოსტატი
ჯემალ კვანტალიანი



სტარტს აიღებს ახალი მშრომელი საფეხბურთო საზონი

სანამ წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობს, გულშემატკივრები თავს კონფედერაციის თასითა და შედარებით კლასით დაბალი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატების თვალყურის დევნებით ირთობენ. მაგრამ მოუხდავად ამ ასპარეზობებისა, სპეციალისტების ძირითადი ყურადღება მაინც „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მხარესა მიმართული. ამჟამად ევროპაში გასურებული სატრანსფერო ციებ-ცხელებაა. დღეს გათავაზობთ ძველი კონტინენტის წამყვანი კლუბების ძირითად ცვლილებებს.

- მილანი: მოვიდნენ — შეფერნო, სერჯინო, ორლანდინი, გატუსო, დე აშენტისი.
- წავიდნენ — იბრაჰიმ ბა, მაინი, კრუსი, სავიჩევიჩი, დიდა, მორფეო, იანუცი...
- ლაციო: მოვიდნენ — კე
- ნეტ ანდერსონი, სიმონე ინძაგი, სენსინი,
- სიმეონე, ვერონი.
- წავიდნენ — ვიერი, მორონე, ბარონი...

- იუვენტუსი: მოვიდნენ — კოვაჩევიჩი, ოლისე, ვან დერ საარი, სალაიეტა, ბაიანი, ძამბროტა.
- წავიდნენ — დეშამი, დი ლივიო, პერუჯი...
- ინტერი: მოვიდნენ — ბლანი, ზუმანა კამარა, დომბრო, ფრენი, პანუჩი, იუგოვიჩი, რეკობა, პერუჯი, კრისტიანო ქსენტი, ვიერი.
- წავიდნენ — პალიუკა, ვინტერი, ვენტოლა, რი-მეონე...
- პარმა: მოვიდნენ — ამორიზო, დი ვაიო, მაინი, ტორინი, სტარადა, ვალეტი, მიკელე სერენა, აპია.
- წავიდნენ — კიქსა, ბალბო, პედროსი, რენსინი, ვერონი, ფი-ორე, ორლანდინი, ასპრილია, ადა-ილტონი...
- ფიორენტინა: მოვიდნენ — ბა-ლბო, კიქსა, ბრესანი, დი ლი-ვიო, მიატოვიჩი, მორიფეო.
- წავიდნენ — ედმუნდო, მიჯიკა, ესპოზიტო, როზიატი, ფლაკი...
- რომა: მოვიდნენ — გურენკო, მონტელა, რი-ნალი, სამუელი, ანტონიოლი.
- წავიდნენ — ვიმი, პაოლო სერჯიო, კიმენტი...
- ბაიერი: მოვიდნენ — პაოლო სერჯიო, ფირი-ნგერი, პატრიკ ანდერსონი, სანტა კოუსი.
- წავიდნენ — ალი დეპეი, ჰელმერი...

- დორტმუნდი: მოვიდნენ — იკეპა, ბობიჩი, ვიორსი.
- წავიდნენ — ჰესლერი, სალუ...
- მანჩესტერ იუნაიტედი: მოვიდნენ — ბოსნიჩი, სორდი.
- წავიდა — შმეისელი
- არსენალი: მოვიდნენ — ლუქინი, მალცი, სილვინიო.
- წავიდნენ — გრონდინი, დიავარა.
- ნიუკასლი: მოვიდნენ — დუმა, გომა, მარსელინო ელენა.
- წავიდნენ — ალბერი, ტერიე ...
- ჩელსი: მოვიდნენ — დეშამი, მელნიოტი, სატონი.
- წავიდა — ხარინი, ვიალი (მოთამაშე).
- ბარსელონა: მოვიდნენ — დანი, ლიტმანენი, საბროსა, დეუ.
- წავიდნენ — ვოვანი, ანდერსონი, ჩირიჩი, რობერი, ოსკარი, ოკუნოვო, პელეგრინო.
- რეალი: მოვიდნენ — ბალიჩი, ივან ელგერა, მაკანამანი, მიჩელ სალგადო, ხულიო ცქსარი.
- წავიდნენ — მიატოვიჩი, პანუჩი, კონტრერასი, ხაიმი, ფერნანდო სანსი ...

ვიალი კლარ ითავაზებს

ლევან სალუშვაძე — უფროსი.

